# სარბიელი

სპორტული გაზეთი ოთხშაბათი 7 აპრილი 2004 №77 (2096) ფასი 50 თეთრი


# სენსაციები დღე და ღამე, სენსაციები აქ და იქ



კლაუდიო რანიერიმ არსენალი განიარაღა










**მონაკო — რეალი 3:1** მწუხარე ზიდანი, გახარებული მორიენტესი და მიმავალი კეიროში

## ნასაგზებად გადადებულებმა ფავორიტები გვერდზე გადადეს

### დილამ თბილისი



გორელი „შუმახერა", რამაზ სოლოლაშვილი თბილისელებს კედელივით დაუდგა

### სპარტაკმა ვიტ ჯორჯია



ხალხი „სპარტაკის" თამაშზე აკაკი დევაძის სანახავად დადის და მერე ყველა დანანებით ერთს ამბობს: ამას რომ წლები არ გაეცდინა, ვინ იცის, სად ითამაშებდა...


REUTERS ლონდონიდან

არსენალი — ჩელსი. ფრენკ ლამპარდის პირველი გოლი იენს ლემანის კარში

## ჩემპიონთა ლიგა

### 1/4 ფინალი. საპასუხო მატჩები გუშინ

**არსენალი** (ლონდონი, ინგლისი) 1:2 ***ჩელსი*** *(ლონდონი, ინგლისი)* (1:1)
1:0 რეიესი (45), 1:1 ლამპარდი (51), 1:2 ბრიჯი (87)
**არსენალი:** ლემანი, ლორენი, კემპბელი, ტურე, ე. კოული, ლიუნგბერგი, ვიეირა, ედუ, პირესი, ანრი (ბერხკამპი 81), რეიესი
მწვრთნელი: არსენ ვენგერი
**ჩელსი:** ამბროზიო, მელხიოტი, გალასი, ტერი, ბრიჯი, პარკერი (გრონკიაერი 46), მაკელელე, ლამპარდი, დაფი (ჯ. კოული 82), ჰასელბაინკი (კრესპო 82), გუდიონსენი
მწვრთნელი: კლაუდიო რანიერი
გაფრთხილება: გალასი (9), ჰასელბაინკი (15), ლორენი (36), ჯ. კოული (84)
მსაჯი: მარკუს მერკი (გერმანია)
35 486 მაყურებელი

***მონაკო*** *(საფრანგეთი)* 3:1 **რეალი** (მადრიდი, ესპანეთი) (2:4)
0:1 რაული (36), 1:1 ჟიული (45), 2:1 მორიენტესი (48), 3:1 ჟიული (66)
**მონაკო:** რომა, იბარა, როდრიგესი, გივე, ევრა, ე. სისე, პლასილი, ჟიული (ელ ფაკირი 82), როტენი, პრსო (ნონდა 61), მორიენტესი (ადებაიორი 85)
მწვრთნელი: დიდიე დეშანი
**რეალი:** კასილიასი, სალგადო (რაულ ბრავო 85), ელგერა, მეხია, რობერტო კარლოსი, ფიგუ, გუტი (პორტილიო 88), ბორხა (სოლარი 72), ზიდანი, რაული, რონალდო
მწვრთნელი: კარლუშ კეიროში
გაფრთხილება: ელგერა (30), ბორხა (60), რომა (90)
მსაჯი: პიერლუიჯი კოლინა (იტალია)
18 500 მაყურებელი

# ვისი ფული ჭრის

ნახევარფინალში გავიდა გუნდი, რომელსაც შარშან ვალის გადაუხდელობის გამო მეორე დივიზიონში აქვეითებდნენ. „მონაკოს“ დაახლოებით 50 მილიონი დოლარი ჰქონდა გადასახდელი და ამ ფულს ვერ შოულობდა.

რა არის ფლორენტინო პერესისთვის 50 მილიონი დოლარი? ერთი ზიდანი ან ერთი ფიგუ. გუშინ ორივე თავდახრილი შევიდა გასახდელისკენ მიმავალ გვირაბში, მასპინძლები კი მოედანზე გიჟურად მხიარულობდნენ.

ფერნანდო მორიენტესმა მადრიდულ მატჩში გატანილი გოლი ტაშფანდურით არ აღნიშნა. ის გოლი მეტად საჭირო და, ფაქტობრივად, გადამწყვეტი გუშინ აღმოჩნდა. მორიენტესმა „ლუი I“-ზეც გაიტანა თავისი, ორი კი „პატარა უფლისწულმა“, ლუდოვიკ ჟიულიმ მიართვა სტუმრებს და „რეალი“ შარშანდელივით პრიმერადივიზიონის ამარა დატოვა.

ზიდანით, რონალდოთი, ფიგუთი და რაულით შეკაზმული გუნდის დამარცხება პრინციპულ მატჩში თურმე შესაძლებელი ყოფილა. დიდიე დეშანმა პერესის ფულის დასტა გვერდზე გასწია და გაიარა.

ლონდონის არისტოკრატიული უბანი 6 წელი ელოდა დერბიში თანაქალაქელი „არსენალის“ დამარცხებას. „ჩელსიმ“ გუშინ შეძლო ის, რაც ბოლო ჩვიდმეტ მატჩში ვერ მოეხერხებინა — „მეთოფეებს“ ძლია, თან „ჰაიბერიზე“, შეხვედრაში, რომელსაც აგებდა. „არისტოკრატთა“ თოფები უფრო კარგად დატენილი აღმოჩნდა და სწორედ მაშინ გაისროლა, როცა მასპინძლები დამატებით დროს ელოდნენ. არსენ ვენგერს ახლა ძალიან ბევრი დამატებითი დრო აქვს იმისთვის, რომ იფიქროს. მისი იარაღი, როგორც ეს თითქმის ყოველ წელს ხდება, მიზანში ვერ ისვრის. „არსენალმა“ მეორე ტაიმი აშკარად წააგო. ანრი დაიკარგა და გუნდიც ჩაფლავდა.

კლაუდიო რანიერი, მგონი, კიდეც ატირდა სიხარულისგან, ბოლოს რომან აბრამოვიჩსაც გაეხსნა ბაგე და გაიღიმა. მისი ფული პერესისგან განსხვავებით, ჯერჯერობით ჭრის.

**ვაჟა ხუციშვილი**


REUTERS ლონდონიდან

პატრიკ ვიეირა: აღარც სიჭა, აღარც ლიგა


REUTERS ლონდონიდან



აბრამოვიჩების მრავალმილიონიანი ტაში და ვენგერის დამსხვრეული ოცნება



REUTERS

გუშინ „ლუი მეორეზე“ ჟიული ლუდოვიკ I იყო

### ინგლისი

**პირველი დივიზიონი**
**გადადებული მატჩები**
ჯილინგემი 0:3 უიგანი
როტერჰემი 1:2 კრისტალ პალასი
უიმბლდონი 1:2 სანდერლენდი

**მეორე დივიზიონი**
**გადადებული მატჩები**
ჰარტლპული 4:3 ლუტონი
ტრანმერი 0:0 ქუინზ პარკი

**მესამე დივიზიონი**
**გადადებული მატჩი**
მენსფილდი 3:1 ოქსფორდი

**კონფერენსლიგა**
**გადადებული მატჩები**
ჩესტერი 4:2 ალდერშოტი
სკარბორო 2:2 სტივენეიჯი
ტელფორდი 1:0 შრიუსბერი

### შოტლანდია

**მეორე დივიზიონი**
**გადადებული მატჩები**
მორტონი 1:1 ფორფარი
სტენჰაუზმური 0:2 ჰამილტონი

### შვედეთი

**ალსვენსკა. I ტური**
ჰამარბი 0:0 მალმიო

### გერმანია

**ჩრდილოეთ რეგიონალლიგა**
**გადადებული მატჩი**
ჰამბურგი (მ) 0:1 ვუპერტალი

**სამხრეთ რეგიონალლიგა**
**გადადებული მატჩები**
ეშბორნი 1:2 მაინცი (მ)
ფიურტი 1:1 ჰოფენჰაიმი

### ავსტრია

**I დივიზიონი. XXVIII ტური**
აუსტრია (ლ) 1:0 ლინცერი
უნტერზიბენბრიუნი 1:0 ლუსტენაუ
ლეობენი 0:0 ვიორგლი
რიდი 2:0 ბლაიბერგი
ტიროლი 2:1 კაპფენბერგი

### ირლანდია

**პრემიერლიგა. IV ტური**
კორკ სიტი 2:3 უოტერფორდი
შემროკი 1:1 ლონგფორდი
დროჰედა 2:0 დერი სიტი
დუბლინი 1:1 სენტ პატრიკსი

### ხორვატია

**თასის 1/2 ფინალი**
**პირველი მატჩი**
ციბალია 1:3 ვარტექსი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩემპიონთა ლიგა 2003-2004. მეოთხედფინალი. საპასუხო მატჩები. დღეს

## დეპორტივო — მილანი

ლა კორუნია. „ესტადიო რიასორი“. მსაჯი: ურს მაიერი (შვეიცარია). პირველი მატჩი: 1:4

# მილანი შეინიღბა
## პანდიანი ღრუბლებს შეეთამაშა



პირველი, მილანური მატჩი ვალტერ პანდიანის ამ საგოლე თავურით დაიწყო

**ლა კორუნიაში** ევროპის მოქმედი საკლუბო ჩემპიონი „მილანი“ სოლიდური ფორით, რიხით და საბრძოლო შემადგენლობით ჩავიდა. მწვრთნელ კარლო ანჩელოტის თქმით, „შავ-წითელები“, მიუხედავად სამბურთიანი უპირატესობისა, „ისე რა“ თამაშს არ აპირებენ და განწყობა თამაშისადმი ზუსტად იგივეა, როგორც პირველ მატჩამდე იყო.

ანჩელოტის დაცვაში ეყოლება ტრავმისგან მოკეთებული ალესანდრო ნესტა, ითამაშებს კაკაც და „მილანის“ ლიდერი ანდრეი შევჩენკოც. უკრაინელს, მოგეხსენებათ, სულ ცოტა ხნის წინ ოპერაცია გაუკეთეს: მაკედონიასთან ამხანაგური მატჩისას სტოიანოვსკიმ ორი კბილი და სახე დაუზიანა. შევჩენკო სპეციალური ნიღბით ითამაშებს, ხოლო ვინ შეუწყვილდება მას თავდასხმაში, ანჩელოტი ზედ მატჩის წინ გადაწყვეტს: პიპო ინძაგი თუ იონ დალ ტომასონი? დღესდღეობით დანიელი უკეთეს ფორმაშია. რაც შეეხება ინძაგის, მას ტრავმამ ბევრი გააცდენინა და ძველებურად ველარ გააქვს.

სააგენტო „როიტერს“ კი „მილანის“ ხორვატი მცველის, დარიო შიმიჩის სიტყვები მოჰყავს: „ჩვენ ვიცით, რომ ნახევარფინალში გასვლის ჩინებული შანსი გვაქვს, მაგრამ „დეპორტივო“ რომ ადვილად არ დაყრის ფარ-ხმალს, ესეც ცხადია. თუმც „მილანს“ ლა კორუნიაშიც შეუძლია გამარჯვება“.

ახლა „რიასორის“ ბინადრებზეც ვთქვათ. მაგალითად, „დეპორის“ ურუგვაელი ფორვარდი ვალტერ პანდიანი ფრანგულ პსჟ-სთან სამი წლის წინანდელ მატჩს იხსენებს, 0:3-ს ვაგებდით და 55 წუთში 4:3 მოვიგეთ, თანაც იმ შეხვედრაში, ჰეთ თრიქიც გავახერხეო: „ღრუბლებში არ დავფრინავ, ვიცი, „მილანი“ პსჟ არ არის, მაგრამ შეუძლებელიც ხომ არაფერია? — ესპანურ გაზეთ AS-ის ჟურნალისტს პანდიანიმ კითხვაზე კითხვითვე უპასუხა, მერე კი დასძინა: „მთავარია, გოლი 10-15 წუთში გავიტანოთ და ჩვენი თამაში ვითამაშოთ. „დეპორტივოს“ ისტორიაში კიდევ ერთი დიდი ფურცლის გადაშლა ნამდვილად შეგვიძლია“.



„მილანს“ ალესანდრო ნესტა უბრუნდება

ხავიერ ირურეტა, ლაკორუნიელთა თავკაცი, არგენტინელ მცველ ლიონელ სკალონის მოისაკლისებს, იგი ტრავმირებულია. სამაგიეროდ, ბრუნდება და ითამაშებს დისკვალიფიციამოხდილი გარემარბი ვიქტორ სანჩესი.

ერთი სიტყვით, „დეპორტივო“ და „მილანი“ უძლიერესი შემადგენლობებით დაიწყებენ თამაშს შვეიცარიელი არბიტრ ურს მაიერის სასტვენისთანავე, ირურეტასაც და ანჩელოტისაც 4-4-2 ტაქტიკური სქემა აქვთ არჩეული და „რიასორიც“ უეჭველად სანახაობრივ ფეხბურთს იხილავს.

**გიორგი ვაშაკიძე**

### სავარაუდო შემადგენლობები

**დეპორტივო**

მოლინა, მანუელ პაბლო, ჟორჟე ანდრადე, ნაიბეტი, კაპდევილა, სერხიო, დუშერი, მაურო სილვა, ვალერონი, პანდიანი, ლუკე

**მილანი**

დიდა, კაფუ, ნესტა, მალდინი, პანკარო, გატუზო, პირლო, ზეედორფი, კაკა, შევჩენკო, ინძაგი (ან ტომასონი)

**დისკვალიფიცირებულნი:**

დეპორტივო: არავინ

მილანი: არავინ



„მარსელთან“ მატჩში სიდნეი გოუ ისე დაჯდა, რომ „პორტუსთვის“ ველარ ადგა

## ლიონი — პორტუ

ლიონი. „სტად ჟერლანი“. მსაჯი: ანდერს ფრისკი (შვედეთი). პირველი მატჩი: 0:2

# ლიონი ფაფარს აიშლის
## დეფლანდრე პორტუს უნახავს ანახებს

„პორტუმ“ ჩემპიონთა ლიგის ბოლო შვიდი შეხვედრაში დაუმარცხებლად ითამაშა.

„ფრანგებისთვის შეუძლებელი არაფერია“ — თქვა „ლიონის“ მეკარე გრეგორი კუპემ, ხოლო მასპინძელთა ბელგიელმა მცველმა ერიკ დეფლანდრემ განაცხადა: „პორტუელებს ნამდვილი „ლიონი“ ჯერ არ უნახავთ. ჩვენ სასურველი შედეგით მოგება შეგვიძლია“. პატრიკ მიულერს არაფრად მიაჩნია ის ფაქტი, რომ „პორტუმ“ „ჟილ ვისენტესთან“ წააგო: „ისინი ჩემპიონატში გვარიანად დაწინაურდნენ და ერთი მარცხი ვერაფერს დააკლებთ“.

ფრანგთა ბრაზილიელი მსოფლიოს ჩემპიონი ედმილსონი კი ასე ბჭობს: „ნახევარფინალში გასასვლელად თავიდანვე შეტევა და სწრაფი გოლის გატანა გვჭირდება. გულშემატკივრებმა ისე უნდა გვიქომაგონ, როგორც არასდროს“.

ჟუნინიო: „აუცილებელი არაა, 3:0-ით მოგებაზე ვიფიქროთ. ჯერ ორის გატანა გვმართებს ისე, რომ საკუთარ კარში არ გავუშვათ. ძნელი საქმე კია, ამ სეზონში „პორტუს“ გოლი მხოლოდ მადრიდის „რეალმა“ და „მანჩესტერმა“ გაუტანეს“.

სტუმართა მწვრთნელმა ჟოზე მაურინიუმ თქვა, ძალიან ოპტიმისტურად ვარ განწყობილიო: „ჟილ ვისენტესთან“ წაგება გუნდს ვერ შაერყევს. ორი კვირის წინ თუ მოვუგეთ „ლიონს“, ახლაც იგივე ფეხბურთელები არ მყავს? ვფიქრობ, ფავორიტები ვართ“.



ჟოზე მაურინიუ



გრეგორი კუპე

ბენი მაკკარტი: „ჩვენ დაცვაში ყურყუტს არ ვაპირებთ, რადგან შეტევა უფრო გვეხერხება. ვიმედოვნებ, ერთი გოლის გატანას მოვახერხებთ“.

„ლიონს“ სიდნეი გოვუ და ერიკ კარიერი არ ეყოლება, სტუმრებს კი ტრავმამოშუშებული კაპიტანი ჟორჟე კოშტა დაუბრუნდათ. მსუბუქად დაშავებულია მანიჩე რიბეირო და ითამაშებს თუ არა ის, მატჩის წინ გადაწყდება.

გასულ უქმეებზე „ლიონმა“ და „პორტუმ“ ჩემპიონატებში მორიგებულებივით წააგეს.

ასეთ დროს იტყვიან ხოლმე, მწვრთნელებმა ფეხბურთელები დაასვენესო, არადა. „ლიონმაც“ და „პორტუმაც“ წაგებულ შეხვედრებში ძირითადი შემადგენლობით ითამაშეს. დასასვენებლად არავის ეცალა.

ფრანგულმა გუნდმა სეზონში მეორე საშინაო მატჩი დათმო, „პორტუ“ კი ჩემპიონატში პირველად დამარცხდა.

„ლიონს“ 2:0 სჭირდება, რომ შეხვედრა დამატებით დროში გადაიყვანოს. შინ გამართული ბოლო რვა თამაშიდან კი ორბურთიანი სხვაობით ერთიც არ მოუგია.

დღევანდელი მეტოქეები ერთმანეთს აქამდე სამჯერ გადაეყარნენ. 1964-65 წლების თასების თასის ორრაუნდიან ფინალში პორტუგალიელებმა (3:0; 1:0) იძარჯვეს. ორი კვირის წინ პორტუში ისევ „ლიონი“ დამარცხდა. ამ სამ დაპირისპირებაში ფრანგულ გუნდს გოლი არ გაუტანია.

**ვაჟა ხუციშვილი**

### სავარაუდო შემადგენლობები

**ლიონი**

კუპე, დეფლანდრე, ედმილსონი, მიულერი, ბერტოდი, მ. დიარა, ჟუნინიო პერნამბუკანო, ესიენი, მალუდა, ელბერი, ლუინდულა

**პორტუ**

ვიტორ ბაია, პ. ფერეირა, ჟორჟე კოშტა, რ. კარვალიუ, ნუნუ ვალენტე, პ. მენდეში, კოშტინია, ალენიჩევი (ან მანიშე), დეკო სოუზა, კარლოს ალბერტო, მაკკარტი (ან იანკაუსკასი)

**დისკვალიფიცირებულნი:**

ლიონი: არავინ

პორტუ: არავინ

REUTERS ფოტოები



მარკ ვიდუკას საგოლე „მაკრატელა“

# ლიდსმა გამოგლიჯა

## ინგლისი

**პრემიერლიგა. XXXI ტური**

**ლიდსი 3:2 ლესტერი**

1:0 დაბერი (11), 2:0 ვიდუკა (13), 2:1 დიკოვი (77), 2:2 იზეტი (79), 3:2 სმიტი (86)
ლიდსი: პ. რობინსონი, გ. კელი, ს. კოლდუელი, დაბერი, დომი, პენანტი, სეტ ჯონსონი, მატეო, მილნერი (ჰარტი 88), ვიდუკა, სმიტი
მწვრთნელი: ედი გრეი
ლესტერი: უოქერი, შიმეკა, ჰითი, დაბიზასი, ტეტჩერი, სკოუკროფტი, ფროინდი (ნალისი 76), იზეტი, გაპი (დიკოვი 37), ლ. ფერდინანდი (კანერო 76), მ. ბენტი
მწვრთნელი: მიკი ადამსი
გაფრთხილება: მილნერი, ტეტჩერი, ვიდუკა, ვიდუკა
გაძევება: ვიდუკა (90)
მსაჯი: დინი
34 036 მაყურებელი

ალან სმიტის გვიანმა გოლმა „ლიდსს“ „ლესტერი“ დაამარცხებინა ბოლო სამეულის გუნდთა ჭიდილში და იორკშირელებში კვლავაც ცოცხალია პრემიერლიგაში დარჩენის იმედი.

„ელანდ როუდზე“ გაიმართა ძალიან ნერვიული თამაში, რომელსაც თავიდან „ლიდსი“ იგებდა მაიკლ დაბერის თავურითა და მარკ ვიდუკას მაკრატელათი, მერე კი თამაშის ორწუთიან მონაკვეთში პოლ დიკოვმა და მაზი იზეტმა ანგარიში გაათანაბრეს, ისე რომ, თამაშის დასრულებამდე ათი წუთით ადრე მასპინძლებს ხელახლა მოუწიათ გამარჯვებისთვის ბრძოლამ, რაც მოახერხეს კიდეც.

„ლიდსი“ უკვე მე-13 წუთზე იგებდა ორ ბურთს და მერე კი „ლესტერის“ მეკარე იან უოკერი ვაჟკაცობდა: სამი დარტყმული მარტო სმიტს აული, აქედან ერთი — დაბალ კუთხეში წასული თავური მკვდარი ბურთი იყო. „ლესტერს“ მომენტები თითქმის არ ჰქონდა: დიკოვმა უფრო მცველთა მოდუნებით ისარგებლა. ვეტერანმა მაზი იზეტმა კი აულებელი დაარტყა 25 იარდიდან.

თამაშის მიწურულს სმიტმა მაინც შეჩხირა ბურთი სტუმართა კარში, მალე კი ვიდუკაც გააძევეს მეორე ყვითლით. გამარჯვებულთა მენეჯერმა ედი გრეიმ თავისი ფეხბურთელების უტეხობა აქო და დაუმატა: „ზოგიერთი ჩვენგანი გულგატეხილობას ამჟღავნებს გასახდელში. მათ ეგონათ, რომ იოლად უნდა მოეგოთ, გამარჯვება კი მით უფრო სასიხარულოა, რომ ის ფიცხელ ბრძოლაში მოვიპოვეთ“.

„ლიდსი“ ბოლოდან მეორე ადგილზეა, თუმცა, ქულებით გაუსწორდა „ლესტერს“, რომელიც მასზე ერთი საფეხურით მაღლაა.

**ირაკლი გამყრელიძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| არსენალი | 30 | 22 | 8 | 0 | 58:20 | 74 |
| ჩელსი | 31 | 22 | 4 | 5 | 58:23 | 70 |
| მანჩესტერი | 30 | 19 | 5 | 6 | 56:30 | 62 |
| ლივერპული | 31 | 13 | 10 | 8 | 46:31 | 49 |
| ნიუკასლი | 31 | 12 | 12 | 7 | 45:33 | 48 |
| ბირმინგემი | 31 | 12 | 10 | 9 | 37:36 | 46 |
| ასტონ ვილა | 31 | 12 | 8 | 11 | 39:36 | 44 |
| ჩარლტონი | 30 | 12 | 7 | 11 | 41:39 | 43 |
| საუთჰემპტონი | 31 | 11 | 9 | 11 | 34:29 | 42 |
| ფულემი | 31 | 11 | 8 | 12 | 41:40 | 41 |
| მიდლსბრო | 31 | 11 | 8 | 12 | 37:39 | 41 |
| ტოტენჰემი | 31 | 11 | 4 | 16 | 40:48 | 37 |
| ბოლტონი | 31 | 9 | 10 | 12 | 34:48 | 37 |
| ევერტონი | 31 | 8 | 10 | 13 | 38:45 | 34 |
| სიტი | 31 | 7 | 11 | 13 | 42:43 | 32 |
| ბლექბერნი | 31 | 8 | 7 | 16 | 42:52 | 31 |
| პორტსმუთი | 30 | 8 | 6 | 16 | 32:45 | 30 |
| ლესტერი | 31 | 5 | 13 | 13 | 41:55 | 28 |
| ლიდსი | 31 | 7 | 7 | 17 | 32:62 | 28 |
| ვულვზი | 31 | 5 | 9 | 17 | 27:66 | 24 |

# მელას მასხრობელა დაუნიშნეს

*ბედი კვლავ დასცინის სერ ალექს ფერგიუსონს. ასოციაციის თასის ფინალის მსაჯად, რომელშიაც „მანჩესტერი“ „მილუოლს“ შეხვდება კარდიფში, დანიშნულია ჯეფ უინტერი*

ეს დამსახურებული და ცნობილი მსაჯისთვის გამოსათხოვარი მატჩი იქნება, ფერგიუსონმა კი უკვე უწოდა ამ ახალ ამბავს „მასხრობა“.

სწორედ უინტერია ის კაცი, ვისთანაც „მანჩესტერის“ თავკაცს არაერთხელ მოუხდა ჩხუბი. წლეულს ვინტერი მეოთხე მსაჯად იყო „ნიუკასლ“—„მანჩესტერის“ თამაშზე და სწორედ მისი მოთხოვნით გააძევეს ფერგიუსონი ტრიბუნაზე. მენეჯერი მსაჯ იურაი რენიეს აგინებდა და გადმოვარდნილ ბურთსაც ბრაზით ამოჰკრა ფეხი. ასოციაციამ ფერგიუსონს ჯარიმა დააკისრა და ორი მატჩითაც დასაჯა.

თებერვალში, უინტერმა მანჩესტერული დერბის დროს გარი ნევილი გააძევა, რითაც ფერგიუსონის რისხვა დაიმსახურა. მენეჯერმა უინტერის სტილს „სამარცხვინო ყაიდის მსაჯობა“ უწოდა.

ამ სეზონში უინტერს პენალტი საერთოდ არ დაუნიშნავს პრემიერლიგის მატჩებში, სამაგიეროდ, თასის თამაშზე ორი პენალტი დადო „ვესტ ჰემის“ კარში. „ვესტ ჰემი“ კი „მილუოლს“ ეთამაშებოდა და 1:4 წააგო. თუმცა, იმავე თამაშში მან მილუოლელთა კარშიც დანიშნა პენალტი, ხოლო „ვესტჰემის“ მეკარე სტივ ბაივოტერი კი გააძევა. მოკლედ, ფერგიუსონმა ტყუილად არ ახსენა „მასხრობა“.






# როცა ხარ კანტონა

პარიზიდან ალმოსავლეთით, იქაური დისნეილენდის ახლოს, „მანჩესტერ იუნაიტედის“ საფეხბურთო სკოლა გაიხსნა. გახსნაზე კი, აბა, ვინ გააგორებდა ბურთს, თუ არა გიჟმაჟი ერიკ კანტონა, რომელიც ახლა ქვიშის ფეხბურთითა და მსახიობობით ირთობს თავს, ძველებური ამაყი მამლის იერი კი მაინც არ დაუკარგავს. ეტყობა, როცა კანტონა ხარ, კანტონადვე რჩები


**სიახლე საქართველოში!**

საუკეთესო ხარისხის სპორტული ფორმის (ტრუსები, მაისურები)
დამზადება გნებავთ, თქვენი სურვილისამებრ, გნებავთ
თქვენს მიერ კატალოგში შერჩეული ესკიზით
ნომრები სპორტულ მაისურებზე, წარწერები...
სპორტული ატრიბუტიკა: დროშები, ვიმპელები...
საცალო და საბითუმო ფასებში

**სარო-არტპრინტი**

ვაჟა ფშაველას 91. 53-76-82 899 56-18-49

ელექტრონული ბიბლიოთეკა

# ბრაზილიელის ინგლისური ასოციაცია




**გასულ კვირას** არსენალელმა ედუმ ინგლისის ფეხბურთის ასოციაციას სთხოვა — ეგებ, თქვენი ქვეყნის ნაკრებში ჩემი ადგილი მოიძებნოსო.

„მე ბრაზილიაში არავინ მეპატიჟება და ვფიქრობ, ინგლისელებს წავადგებოდი. ფაქტია, რომ მათ ცაცია კაცი სჭირდებათ, მე კი მარცხენა ფეხით კარგად ვთამაშობ".

ასოციაციაში საგანგებო სხდომაზე ბრაზილიელის თხოვნა გაარჩიეს და ედუს უარი უთხრეს. „ედუარდო გაშპარს ბრიტანეთის მოქალაქეობა არა აქვს და ალბათ, ევროპის ჩემპიონატის დაწყებამდე მიღებას ვერ მოასწრებს. გარდა ამისა, ფიფას ახალი წესების მიხედვით, ერთი ქვეყნის ფეხბურთელისთვის მეორე ქვეყნის მოქალაქეობის მიღების პროცესი გართულდა. იმავდროულად, ფეხბურთის ასოციაცია თვლის, რომ ინგლისის ნაკრებში ინგლისელები უნდა თამაშობდნენ".

ედუს გარდა სვენ გორან ერიკსონის გუნდში თამაშის შანსი კარლო კუდიჩინისაც აქვს. შარშან ბრიტანეთის ქვეშევრდომი გახდა და ახლა საქმე ასარჩევად აქვს — იტალია ან ინგლისი.

**გაჟა ხუციშვილი**

## ფეხბურთის რუკასთან



**ბულგარელი** ფორვარდი დიმიტარ ბერბატოვი, მომავალ სეზონს სავარაუდოდ უფრო ძლიერ კლუბში დაიწყებს. კარგა ხანია მისით „მილანია" დაინტერესებული და ფეხბურთელის აგენტთან მოლაპარაკებებს აწარმოებს. ახლა გაირკვა, რომ ბერბატოვი „ბარსელონასაც" სურს. გერმანული პრესის ცნობით, კატალონიელები ლევერკუზენის „ბაიერს" 10 მილიონ დოლარს სთავაზობენ და 23 წლის თავდამსხმელის გადაბირების კარგი შანსი აქვთ. ამ ტრანსფერის განხორციელებას ხელს „ბარსას" ყოფილი ბულგარელი ვარსკვლავი ხრისტო სტოიჩკოვიც უწყობს.

**იტალიური** „რომას" თავკაცმა ფაბიო კაპელომ „კორიერე დელო სპორტისთვის" მიცემულ ინტერვიუში აღნიშნა, მოვლენებს რეალურად ვაფასებ და ჩვენ რომ ჩემპიონობის ძალიან მცირე შანსი გვაქვს, ვიცით. შეგახსენებთ, რომ „რომა" სერია A-ში მეორე ადგილზეა და „მილანს" 9 ქულით და ერთი მატჩით ჩამორჩება. „მილანი" კარგ ფორმაშია და ლიდერობას იმსახურებს. ხოლო თუ გვინდა, რომ ჩვენი მიზერული შანსები რეალურად იქცეს, ყველა დარჩენილი შეხვედრა უნდა მოვიგოთ" — განაცხადა კაპელომ.

**ფრანგული** „ბასტია" ახალი მწვრთნელის ძიებაშია, მანამდე კი კლუბს კრისტოფ გალტიე და ჟოზე პასკალე გაუძღვებიან. „იმისათვის, რომ გავიზარდოთ, აუცილებლად გვჭირდება უფრო მტკიცე ხასიათის პრეზიდენტი" — უთქვამს „ბასტიას" აწ უკვე ყოფილ თავკაც ჟერარ ჟილს გასულ შაბათს „ნიცასთან" მოგებული მატჩის შემდეგ. ჰოდა, ამ სიტყვების გამგონე განრისხებულმა „ბასტიას" პრეზიდენტმა ფრანსუკა ნიკოლემ ჟილი დაუყოვნებლივ დაითხოვა პოსტიდან.

**ჰოლანდიის** ნაკრებისა და ამსტერდამის „აიაქსის" ახალგაზრდა ვარსკვლავმა რაფაელ ვან დერ ვაარტმა შესაძლოა, „ბარსელონაში" ამოყოს თავი. როგორც იცით, 24 წლის შემტევ ნახევარმცველს არაერთმა გრანდმა დაადგა თვალი. თუმც, თავად ფეხბურთელმა „ჩელსის", „მილანს", „მანჩესტერ იუნაიტედსა" და სხვა გრანდებს „ბარსელონა" ამჯობინა. მან ჟურნალისტებს განუცხადა, ჩემი ოცნება „კამპ ნოუზე" თამაშიაო.

**იტალიური** „ინტერის" მეკარე ფრანჩესკო ტოლდო კვლავ მწყობრშია. მან თითქმის მოიშუშა ხელის მცირე ტრავმა და უეფას თასის მეოთხედფინალურ მატჩში „მარსელის" წინააღმდეგ სავარაუდოდ მოედანზეც გავა. სამაგიეროდ, საეჭვოა ურუგვაელი ალვარო რეკობას თამაში. იგი ვენესუელასთან მატჩის შემდეგ კლუბს დაშავებული დაუბრუნდა.

**გერმანულმა** „ვოლფსბურგმა" ბოლო 9 მატჩიდან 7 წააგო, რაც, ბუნებრივია, გუნდის ხელმძღვანელობას უყურადღებოდ არ დარჩენია. ბოლო წვეთი გასულ შაბათს „შტუტგარტთან" საშინაო შეხვედრაში სამარცხვინო მარცხი (1:5) გამოდგა. ამ თამაშის მერე „ჰერტას" და ახლა უკვე „ვოლფსბურგის" ყოფილი მწვრთნელი იურგენ რიობერი კვლავ უმუშევარი დარჩა. „მგლებს" კი ამიერიდან ბელგიელი ერიკ გერეტსი უთავკაცებს, რომელიც თავის მხრივ ცოტა ხნის წინ გაუშვეს „კაიზერსლაუტერნიდან".

**იტალიის** ნაკრებისა და „ინტერის" ფორვარდმა კრისტიან ვიერიმ კიდევ ერთხელ განაცხადა, არსად წასვლას არ ვაპირებო. როგორც იცით, მას „შავ-ლურჯების" ტიფოზებთან და ხელმძღვანელებთან გარკვეული კონფლიქტი ჰქონდა, მაგრამ „ბობო" იხტიბარს არ იტეხს. „ყოველდღე ჩემზე ახალ ჭორებს ვკითხულობ და, ბუნებრივია, მათ სერიოზულად არ აღვიქვამ. „ინტერთან" კონტრაქტი 2006 წელს მეწურება და იქამდე კლუბის დატოვება არ მსურს. აქ თავს მშვენივრად ვგრძნობ და არანაირი პრობლემა არ მაქვს" — ამბობს ვიერი.

**გერმანულმა** „კიკერმა" მარტის თვის საუკეთესო ფეხბურთელი გამოავლინა. საუკეთესოდ მიუნხენის „ბაიერნის" ჰოლანდიელი ფორვარდი როი მაკაი დასახელდა. მან გასულ თვეში ჩატარებულ 4 შეხვედრაში 5 გოლი გაიტანა და საერთო ჯამში 20 გოლი დაუგროვდა. მაკაის ოდნავ ჩამორჩა როსტოკის „ჰანზას" ფორვარდი მაგნუს არვიდსონი, ხოლო მესამე ადგილზე ლევერკუზენის „ბაიერის" ბულგარელი თავდამსხმელი დიმიტარ ბერბატოვი გავიდა.

**არგენტინელ** შემტევ ნახევარმცველ ესტებან კამბიასოს მადრიდის „რეალთან" მოქმედი კონტრაქტი ივნისში ეწურება და მხარეები ახალი შეთანხმების მიღწევაზე არ ფიქრობენ, შესაბამისად კამბიასოც თავისუფალი აგენტი გახდება. მას ახალი კლუბის მოძებნა ნამდვილად არ გაუჭირდება, ესტებანი ფაქტობრივად, მილანის „ინტერის" ფეხბურთელია. „შავ-ლურჯები" ბოსები არგენტინელს უკვე ყველაფერზე შეუთანხმდნენ, ხოლო კონტრაქტს ოფიციალურად სამედიცინო შემოწმების შემდეგ მოეწერება ხელი.

**გერმანული** „ლევერკუზენი" მომავალი სეზონისთვის ბირმინგემის „ასტონ ვილადან" ქვეყნის ახალგაზრდული ნაკრების წევრ თომას ჰიცლშპერგერის გადაბირებას აპირებს. მოლაპარაკებები ჯერ არ დაწყებულა, თუმც ტრანსფერის განხორციელება, სავსებით შესაძლებელია. გავრცელდა ინფორმაციაც, რომ რუდი ფიოლერი ჰიცლშპერგერის მალე ეროვნულ გუნდშიც მიიწვევსო.

**ესპანური** „ვილიარეალის" მწვრთნელად არგენტინელი მანუელ პელეგრინი დაინიშნა. პელეგრინი ბოლოს „რივერ პლეიტის" თავკაცი გახლდათ, თუმც ესპანეთში გადასვლაზე წამითაც არ დაფიქრებულა, ჩემი საქმიანობა ქვეყნის გარეთ უფრო დაფასდებაო. მან პოსტზე ფერნანდო გარსია პაკიტო შეცვალა, რომელიც მადრიდულ კლუბს თებერვალში გათავისუფლებული ბენიტო ფლოროს ნაცვლად დროებით წვრთნიდა.

## იტალია

### სერია B. XXXVI ტური

**ატალანტა 2:0 ასკოლი**

1:0 გაუტიერი (363), 2:0 პაცინი (58)

**აველინო 6:0 ვერონა**

1:0 მანკა (9), 2:0 მორეტი (29), 3:0 ტისკი (353), 4:0 კაპარელა (42), 5:0, 6:0 კუტუზოვი (45, 56)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პალერმო | 36 | 17 | 13 | 6 | 55:29 | 64 |
| მესინა | 36 | 16 | 13 | 7 | 52:34 | 61 |
| ლივორნო | 36 | 15 | 15 | 6 | 54:36 | 60 |
| ატალანტა | 36 | 14 | 17 | 5 | 43:30 | 59 |
| კალიარი | 36 | 14 | 14 | 8 | 57:38 | 56 |
| პიაჩენცა | 35 | 14 | 14 | 7 | 34:26 | 56 |
| ფიორენტინა | 36 | 14 | 14 | 8 | 42:39 | 56 |
| ტერნანა | 36 | 14 | 12 | 10 | 47:38 | 54 |
| ტრიესტინა | 36 | 13 | 15 | 8 | 43:39 | 54 |
| ტორინო | 36 | 12 | 14 | 10 | 45:37 | 50 |
| ვიჩენცა | 36 | 12 | 14 | 10 | 37:34 | 50 |
| კატანია | 36 | 13 | 11 | 12 | 40:40 | 50 |
| ნაპოლი | 36 | 10 | 19 | 7 | 29:30 | 49 |
| ჯენოა | 36 | 10 | 13 | 13 | 36:41 | 43 |
| ტრევიზო | 36 | 9 | 15 | 12 | 32:35 | 42 |
| ვენეცია | 36 | 9 | 14 | 13 | 28:38 | 41 |
| ალბინოლეფე | 36 | 10 | 11 | 15 | 31:43 | 41 |
| ასკოლი | 36 | 9 | 13 | 14 | 36:42 | 40 |
| სალერნიტანა | 35 | 10 | 10 | 15 | 28:37 | 40 |
| ვერონა | 36 | 9 | 12 | 15 | 40:53 | 39 |
| პესკარა | 36 | 9 | 11 | 16 | 29:48 | 38 |
| ბარი | 36 | 8 | 10 | 18 | 36:50 | 34 |
| კომო | 36 | 7 | 11 | 18 | 30:48 | 32 |
| აველინო | 36 | 4 | 13 | 19 | 36:55 | 25 |

## საფრანგეთი

### II დივიზიონი. XXXI ტური

**ისტრი 2:2 ნიორი**

1:0 საფანიონი (6ს.კ.), 1:1 მიშელი (70), 1:2 ჟალე (78), 2:2 რემი (87)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ისტრი | 31 | 16 | 8 | 7 | 36:18 | 56 |
| სენტ ეტიენი | 30 | 17 | 5 | 8 | 34:25 | 56 |
| კაენი | 31 | 14 | 10 | 7 | 42:29 | 52 |
| ამიენი | 31 | 14 | 8 | 9 | 35:30 | 50 |
| ლორიანი | 31 | 14 | 7 | 10 | 47:34 | 49 |
| ნანსი | 31 | 12 | 12 | 7 | 40:27 | 48 |
| ნიორი | 30 | 12 | 11 | 7 | 40:33 | 47 |
| სედანი | 31 | 11 | 14 | 6 | 31:26 | 47 |
| ლე ავრი | 31 | 13 | 8 | 10 | 37:35 | 47 |
| შატორუ | 31 | 11 | 9 | 11 | 37:39 | 42 |
| კრეტეი | 31 | 9 | 12 | 10 | 34:37 | 39 |
| ტრუა | 30 | 9 | 12 | 9 | 30:34 | 39 |
| კლერმონი | 31 | 8 | 14 | 9 | 32:41 | 38 |
| ვალანსი | 31 | 8 | 11 | 12 | 37:43 | 35 |
| გრენობლი | 31 | 7 | 13 | 11 | 29:31 | 34 |
| ანჟე | 31 | 7 | 11 | 13 | 27:36 | 32 |
| ლავალი | 31 | 6 | 12 | 13 | 39:46 | 30 |
| ბეზანსონი | 30 | 5 | 12 | 13 | 27:39 | 27 |
| გენიონი | 31 | 4 | 14 | 13 | 25:39 | 26 |
| რუანი | 31 | 4 | 11 | 16 | 23:40 | 23 |

რეკლამა
სარბიელ-ში
Tel: 39 40 08,
93 16 08;
Fax: 94 33 80

## ჩეხეთი

### გამბრინუს ლიგა XXIV ტური

**ბრნო 2:2 სლავია**

1:0 შუსტერი (6), 2:0 პაცანდა (49), 2:1 პიტაკი (56), 2:2 ლ. დოშეკი (90)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბანიკი | 24 | 14 | 8 | 2 | 50:21 | 50 |
| სიგმა | 24 | 13 | 6 | 5 | 36:17 | 45 |
| სლავია | 24 | 13 | 5 | 6 | 33:15 | 44 |
| სპარტა | 24 | 11 | 9 | 4 | 36:19 | 42 |
| სინოტი | 24 | 10 | 5 | 9 | 31:31 | 35 |
| ბუდეიოვიცე | 24 | 9 | 6 | 9 | 30:29 | 33 |
| ზლინი | 23 | 9 | 5 | 9 | 23:25 | 32 |
| პრჟიბრამი | 24 | 8 | 6 | 10 | 27:27 | 30 |
| ლიბერეცი | 23 | 7 | 9 | 7 | 19:19 | 30 |
| ტეპლიცე | 24 | 6 | 11 | 7 | 23:25 | 29 |
| ბრნო | 24 | 7 | 8 | 9 | 29:34 | 29 |
| იაბლონეცი | 24 | 5 | 13 | 6 | 21:27 | 28 |
| ოპავა | 24 | 7 | 5 | 12 | 27:43 | 26 |
| ჟიჟკოვი | 24 | 5 | 7 | 12 | 15:26 | 22 |
| ბლშანი | 24 | 6 | 4 | 14 | 25:45 | 22 |
| პლზენი | 24 | 4 | 7 | 13 | 18:40 | 19 |

## გერმანია

### მეორე ბუნდესლიგა XXVII ტური

**კოტბუსი 0:0 მაინცი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კოტბუსი | 27 | 13 | 8 | 6 | 41:32 | 47 |
| ნიურნბერგი | 27 | 13 | 7 | 7 | 49:32 | 46 |
| არმინია | 27 | 13 | 6 | 8 | 40:28 | 45 |
| ალემანია | 27 | 12 | 7 | 8 | 42:39 | 43 |
| ობერჰაუზენი | 27 | 12 | 6 | 9 | 38:37 | 42 |
| მაინცი | 27 | 9 | 13 | 5 | 34:28 | 40 |
| დუისბურგი | 27 | 10 | 8 | 9 | 41:35 | 38 |
| აუე | 27 | 10 | 8 | 9 | 36:32 | 38 |
| რეგენსბურგი | 27 | 9 | 9 | 9 | 34:38 | 36 |
| უნტერჰახინგი | 27 | 9 | 8 | 10 | 33:36 | 35 |
| ლიუბეკი | 27 | 9 | 8 | 10 | 39:43 | 35 |
| ტრირი | 27 | 9 | 7 | 11 | 39:44 | 34 |
| კარლსრუე | 27 | 9 | 7 | 11 | 31:37 | 34 |
| ფიურტი | 27 | 7 | 11 | 9 | 42:42 | 32 |
| ბურგჰაუზენი | 27 | 8 | 8 | 11 | 31:33 | 32 |
| ალენი | 27 | 9 | 5 | 13 | 28:39 | 32 |
| უნიონი | 27 | 7 | 7 | 13 | 31:36 | 28 |
| ოსნაბრიუკი | 27 | 6 | 5 | 16 | 26:44 | 23 |

## პორტუგალია

### სუპერლიგა. XXIX ტური

**მარიტიმუ 2:0 ბელენენსეში**

1:0 ალან სილვა (6), 2:0 ვან დერ გააგი (44)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტუ | 28 | 22 | 5 | 1 | 58:17 | 71 |
| სპორტინგი | 29 | 21 | 4 | 4 | 53:29 | 67 |
| ბენფიკა | 29 | 18 | 7 | 4 | 53:26 | 61 |
| ბრაგა | 29 | 13 | 8 | 8 | 30:31 | 47 |
| ნასიონალი | 28 | 14 | 4 | 10 | 46:30 | 46 |
| რიუ ავე | 29 | 10 | 12 | 7 | 38:26 | 42 |
| მარიტიმუ | 29 | 10 | 12 | 7 | 30:27 | 42 |
| ბოავიშტა | 29 | 9 | 11 | 9 | 26:25 | 38 |
| ბეირა მარი | 29 | 10 | 7 | 12 | 35:38 | 37 |
| მორეირენსე | 29 | 9 | 10 | 10 | 25:29 | 37 |
| ლეირია | 29 | 9 | 9 | 11 | 38:43 | 36 |
| ჟილ ვისენტე | 29 | 8 | 10 | 11 | 38:35 | 34 |
| აკადემიკა | 29 | 8 | 5 | 16 | 26:34 | 29 |
| ალვერკა | 29 | 8 | 5 | 16 | 29:40 | 29 |
| გიმარაეში | 29 | 6 | 10 | 13 | 27:37 | 28 |
| ბელენენსეში | 29 | 6 | 10 | 13 | 30:50 | 28 |
| ფერეირა | 29 | 7 | 3 | 19 | 21:44 | 24 |
| ამადორა | 29 | 4 | 4 | 21 | 20:62 | 16 |




*როგორი ინფორმაცია გაქვთ, ვინ მართავს რეალურად „ბარსელონას“? ლაპორტა? ან რაიკარდი? ან რომელიმე ვიცე-პრეზიდენტი? არა ბატონებო, ამ კლუბში იოჰან კრუიფის გარეშე არაფერი ხდება...*

*„ბარსელონა“ პრიმერადივიზიონის ბოლო ათ მატჩში არ დამარცხებულა. მეტიც, „ვილიარეალთან“ ფრემდე ზედიზედ ცხრა თამაში და გულშემატკივართა გულები მოიგო. მაგრამ არის თუ არა ეს ღრმა და გაწელილი კრიზისის დასასრული, ამაში დასარწმუნებლად ალბათ კიდევ ცოტაოდენი დროა საჭირო.*

*ეგებ კრიზისი არც ყოფილიყო, თავის დროზე იოჰან კრუიფისთვის ყური რომ მიეგდოთ. ხუთი წლის წინ კრუიფი კატალონიას აფრთხილებდა, ძალიან მალე საქმე ცუდად წავივა და სასწრაფოდ რადიკალურ ზომებს უნდა მივმართოთო*

# მფრინავი კარდინალი და რუხი ჰოლანდიელი

## კრუიფიზმები

*— ფეხბურთის სამყაროში ძალიან ბევრი ცუდი ადამიანია და ძალიან ცოტა კარგი. ყველას ვგულისხმობ, ხელმძღვანელებს, მწვრთნელებს, მენეჯერებს, აგენტებს. მათი დიდი ნაწილი აფერისტია...*

*— როცა კლუბის პრეზიდენტი სუსტია, ეს ნიშნავს, რომ მისი ხელქვეითები კიდევ უფრო სუსტები არიან...*

*— კლუბების პრეზიდენტთა 80 პროცენტი ძალაუფლების ავადმყოფურად მოყვარული, უზნეო და არაკომპეტენტური ხალხია. მათი ერთადერთი მიზანი ჯიბეების ფულით გამოტენვაა, ფეხბურთი კი ნაკლებად ადარდებთ...*

*— „ბარსელონასთვის“ ფიგუ მე აღმოვაჩინე, ზიდანი იმიტომ არ იყიდეს, რომ „ბარსაში“ მე აღარ ვმუშაობდი, რონალდო კი სულელურად დაკარგეს. გული მწყდება, როცა ვხედავ, როგორ აქციეს „ბარსას“ ხელმძღვანელებმა „რეალი“ მსოფლიოს საუკეთესო კლუბად...*

*— „ბარსელონა“ კრიზისში ოთხი-ხუთი წელი იყო და საქმის გამოსასწორებლად ოთხი ხუთი კვირა საკმარისი არ არის. ერთი წელიც არ გვეყოფა...*

*— მსოფლიოში ვერცერთი პრეზიდენტი ვერ მიმითითებს, რა უნდა გავაკეთო. 38 წლის ვიყავი, როცა „აიაქსის“ პრეზიდენტმა დამცირების მიზნით, ფეხბურთისთვის ბებერი მიწოდა. შური ვიძიე და „ფეიენოორდში“ წავედი, სადაც ჰოლანდიის ჩემპიონი, თასის მფლობელი და ბომბარდირი გავხდი*

**მაშინ** ჰოლანდიელს ყური არავინათხოვა და ძნელია, ამის გამო ვინმე გაამტყუნო. გავიხსენოთ — იმ სეზონში „ბარსამ“ ესპანეთის ჩემპიონობა და სამეფო თასი მოიგო, რის გამოც ხალხი ეიფორიაში იყო და კრუიფის გაფრთხილებას ვინ დაიჯერებდა.

კრუიფი კი ჯიუტად ამტკიცებდა, რომ ლუის ვან გაალი და ხუან გასპარი კლუბს ღუპავდნენ, მათ უკან კი ოფიციალურად საქმეს ჩამოშორებული, მაგრამ მაინც უდიდესი გავლენის მქონე ხოსეპ ნუნიესი იდგა.

კრუიფსა და ნუნიესს შორის ურთიერთობა 1996 წლის მაისში გაფუჭდა და კინაღამ სასამართლოს გასარჩევი შეიქნა. ნუნიესმა კრუიფს, ვინაც იმ დროს „ბარსას“ მწვრთნელი იყო, კონფედენციალური ინფორმაციის გამჟღავნებასა და ფულის კეთებაში დასდო ბრალი. ნუნიესის მტკიცებით, მოსამზადებელ პერიოდში კრუიფი ამხანაგურ მატჩებს იმათთან ატარებდა, რომელი კლუბებიც მას ფულს გადაუხდიდნენ.

კრუიფმა თავის მხრივ პრეზიდენტს უსულგულო ტირანი და დესპოტი უწოდა, მერე კი ცილისწამებისთვის სასამართლოშიც უჩივლა. საბოლოოდ დაპირისპირება სასამართლოში აღარ გაგრძელდა, მაგრამ კრუიფსა და ნუნიესს შორის მტრობა დარჩა.

იმ ჩხუბის მერე იოჰან კრუიფს „ბარსელონაში“ რაიმე პოსტი აღარ დაუკავებია, თუმცა შეთავაზებები მრავლად ჰქონდა. შიგადაშიგ ის კომენტატორად მუშაობდა სხვადასხვა დიდ შეჯიბრებებზე, ესპანურ და ჰოლანდიურ მედიაზე მუშაობდა, უამრავ საგანმანათლებლო პროექტში მიიღო მონაწილეობა, რომელთაგან მთავარი კრუიფის განთქმული აკადემიაა. დღემდე კრუიფი ძალიან ბევრს მოგზაურობს, საქმიან შეხვედრებსა და ყეენობებში იღებს მონაწილეობას და მუდამ ბრუნდება თავის საყვარელ ქალაქში — ბარსელონაში.

ეს კრუიფის ცხოვრების ხილული მხარეა, მაგრამ არსებობს მეორე მხარეც, რაც თავშივე ვთქვით — „ბარსელონაში“ უკრუიფოდ არაფერი წყდება.

როცა კრუიფი ბარსელონაში პირველად ჩავიდა, ხუან ლაპორტა სულ რაღაც 11 წლის იყო, მაგრამ „სანტიაგო ბერნაბეუზე“ ლეგენდარული 5:0-იც კარგად ახსოვს და 15 წლის ნანატრი ჩემპიონობაც „ბარსას“ კრუიფმა რომ მოუტანა. ერთი სიტყვით, ლაპორტა ბავშვობიდან კრუიფის ფანი იყო და კრუიფის გავლენა „ბარსას“ ახლანდელ პრეზიდენტზე კვლავაც იგრძნობა. მაგალითები? რამდენიც გნებავთ — კლუბში მნიშვნელოვან პოსტებს კრუიფის ძველი მეგობრები, ბეგირისტაინი, ამორი, ეუსებიო და სტოიჩკოვი იკავებენ. გენერალური დირექტორი ამერიკელი ტოდ ბინია, რომელიც ასევე კრუიფის პროტეჟეა და იქამდე ბარსელონაში კრუიფის აკადემიას ხელმძღვანელობდა. კრუიფისავე რჩევით, „ბარსამ“ რუშთუ, ვან ბრონჰორსტი, მარიო და კვარესმა იყიდა. და ალბათ მთავარი — თვით ხუან ლაპორტა ერთ დროს კრუიფის აკადემიაში იურისტად მუშაობდა და საკმაოდ წარმატებულადაც.



თუმცა მიუხედავად ყველაფრისა, კრუიფს და ლაპორტას ბოლო დრომდე მაინცდამაინც მეგობრული ურთიერთობა არ ჰქონიათ. მეტიც, ბოლო საპრეზიდენტო არჩევნებისას კრუიფი ლუის ბასატის მხარეს იყო და მოგვიანებით დაუჭირა მხარი ლაპორტას.

გასპარის გადადგომის მერე მუდმივმა ოპონენტმა ბასატმა მოახერხა და კრუიფი თავის რადიკალურ ოპოზიციურ ჯგუფში, „ელეფანტ ბლაუში“ გადაიბირა.

მაგრამ ბოლო წამს კრუიფი ლაპორტას ბანაკში გადაბარგდა, რისი მიზეზიც ბასატის წინდაუხედავი განცხადება გახდა. ბასატმა ამომრჩეველთა გულების მოსაგებად თქვა, ჩემი პრეზიდენტობის შემთხვევაში კრუიფი ვიცე-პრეზიდენტი გახდება და ყველა სპორტულ საკითხს ის მოაგვარებს და „ბარსაში“ ზინედინ ზიდანს მოიყვანსო.

კრუიფს ასეთი გეგმები არ ჰქონდა და მათ იჩხუბეს.

კრუიფი ლაპორტას ბანაკში ოფიციალურად არ ჩაწერილა, მაგრამ ყველასთვის ცხადი იყო, რომ ჰოლანდიელის სიმპათია ლაპორტას მხარეს იქნებოდა. თანაც ლაპორტას მარჯვენა ხელი უკვე მაშინ კრუიფის ძმაკაცი ჩიკი ბეგირისტაინი იყო. დიახ, წინასაარჩევნო პერიოდში კრუიფს პირდაპირ არ უთქვამს, ლაპორტას მხარეს ვარო, მაგრამ ყველამ იცოდა და თავად ლაპორტაც შანსს არ უშვებდა, წინასაარჩევნო გამოსვლებისას ამაზე არ მიენიშნებინა. ამას კი ძალიან ჭკვიანურად აკეთებდა. ამბობდა, არჩევნებზე კრუიფის სახელის ბაირაღივით აღმართვას არ ვაპირებო. ამგვარი არაპირდაპირი რეკლამა ძალიან კარგად მოქმედებდა.

პრეზიდენტად გახდომის მერე ლაპორტასაც ჰქონდა კრუიფისთვის რაიმე პოსტის მიცემის მცდელობა, მაგრამ კრუიფმა ეს შეთავაზებაც შორს დაიჭირა: *„ბარსელონას“ ყოველთვის გავუწევ დახმარების ხელს, ამ კლუბის მეგობარი ჩემი მეგობარია, მაგრამ მწვრთნელი ან დირექტორატის წევრი აღარასდროს გავხდები.“*

და მაინც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, კლუბში მიღებული გადაწყვეტილებების დიდი წილი კრუიფზე მოდის. ამასთან დაკავშირებით ჰოლანდიელმა საინტერესო რამ თქვა: *„ტყუილია, როცა ამბობენ, რომ „ბარსას“ მე ვმართავ. უბრალოდ, როცა აზრს მეკითხებიან, დახმარებისთვის ყოველთვის მზად ვარ. ხოლო თუ თავად ვამჩნევ რომ რამე ისე არ კეთდება, ლაპორტას ან რაიკარდს ვურეკავ.“*

და თუკი კრუიფის რჩევებს ლაპორტა და რაიკარდი ყოველთვის ითვალისწინებენ, მეტი რა არის კლუბის მართვა?!



იოჰან კრუიფმა ხრისტო სტოიჩკოვი ლაპორტას ურჩია

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მარადონამ წიგნი თამაშში შეიყვანა



*კატალონიურ „სპორტს" საინტერესო პროექტის განხორციელება სურთ. უახლოეს მომავალში მზის სინათლეს იხილავს წიგნი, რომელშიც ბრაზილიელი რანალდინიოს, „ბარსელონას" ლიდერისა და მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო მობურთალის ცხოვრება და თამაში იქნება აღწერილი. ამ საფეხბურთო ეპოსის სათაურია „რონალდინიო, ანუ ვარსკვლავთა მაგია". ვიდრე დაინტერესებული მკითხველი წიგნს გაეცნობოდეს, „სპორტი" „ბარსას" შესანიშნავ გაუჩოზე საფეხბურთო გრანდებთან საუბრობს. ინტერვიუების სერია, რა თქმა უნდა, ოდინდელი ბარსელონელით, დიდი დიეგო არმანდო მარადონათი იწყება.*



— როგორ გრძნობს თავს მარადონა რეი?

— ძალიან კარგად ვარ. ყოველთვის მიხარია ბარსელონელებთან საუბარი, მით უმეტეს, ახლა, როდესაც „კამპ ნოუზე" რონალდინიოს დარი დიდებული ბიჭი თამაშობს.

— „ბარსას" თამაშებს უყურებთ?

— ინფორმაცია მეტ-ნაკლებად მაქვს. კატალონიურ მატჩებზე სხვების მონაყოლიდანაც ვიცი და ტელევიზორშიც ხშირად მინახავს ცალკეული ეპიზოდები. ისიც ვიცი, რომ „ბარსელონა" ნელ-ნელა უმატებს. ეს ძალიან კარგია, რადგან დიდ ფეხბურთში მხოლოდ ის კლუბები ხეირობენ, ვისაც ჭკვიანი უფროსობა ჰყავს.

— ლაპორტაზე, როსელიზე და ბეგირისტაინზე რას ფიქრობთ?

— მათ ფეხბურთელებთან კარგი ურთიერთობა აქვთ. ადრე ნუნიესის და გასპარის დროს, ასე არ ხდებოდა. რონალდინიოს „ბარსაში" გადაყვანა სწორი ნაბიჯი იყო — ზუსტად ასეთი ვარსკვლავი სჭირდება კატალონიურ გრანდს რივალდოს წასვლის შემდეგ.

— ეტყობა, ძალიან მოგწონთ რონალდინიოს თამაში.

— მასზე ძლიერი ამჟამად არავინ მეგულება.

უპირველეს ყოვლისა, საოცარ სისწრაფეს შევუქებ, ბურთი კი თითქოს ფეხზე აქვს მიწებებული. მცველებსაც იოლად უსწორდება და იმავდროულად, თვალს ვერ შეასწრებ, მინდორზე ისე დაჰქრის. ბიჭმა სისწრაფისა და ტექნიკის ერთმანეთთან შეთავსება მოახერხა. მე გეტყვით თქვენ ეს რისი დამსახურებაა — რონი ჭკვიანია, აზროვნებს. სანამ ბურთს მიიღებს, წინასწარ იცის, რა უნდა გააკეთოს.

— საჯარიმოები თუ გინახავთ მისი შესრულებით?

— მინახავს და ვაღიარებ, რომ

## რონალდინიო აი, ასეთი ბიჭია!

მართლაც კარგად ურტყამს. რონალდინიო სპექტაკლს ქმნის, რაც ხალხს ყოველთვის მოსწონდა და ახლაც მოსწონს.

— მას თქვენს მემკვიდრედ თვლიან. ეს ოდნავ გადაჭარბებულად ხომ არ გეჩვენებათ?

— არა, რატომ? მესმის მათი, რომლებიც რონის მარადონას ადარებენ. 22 წლისა უკვე მსოფლიოს ჩემპიონია და კორეა-იაპონიის მუნდიალზე ბრწყინვალედ ითამაშა.

— ახალგაზრდა ფეხბურთელს დიდი ჯილდოები, წესით და რიგით, თავდაჯერებულობას უნდა ანიჭებდეს...

— უეჭველად. მსოფლიოს მთავარი შეჯიბრი უკვე მოგებული აქვს, ახლა კი „ბარსელონაში" ახალი ჯილდოების მოსაპოვებლად იბრძოლებს.

— თქვენი აზრით, გაუჩო საუკეთესო ფორმაშია?

ვფიქრობ, ასეა. თავისი ძმის, რობერტოს წყალობით, სწორედ იმ დროს მივიდა „კამპ ნოუზე", როცა ესპანეთის ჩემპიონატისთვის რიგიანად იყო მომზადებული.

— „ბარსას" და პრიმერას სირთულეებს კარგად იცნობთ. შეძლებს ახალგაზრდა რონი თავისი ჩანაფიქრის ბოლომდე მიყვანას?

— ზუსტად იმიტომ, რომ ამგვარი სირთულეები საკუთარ თავზე მაქვს გამოცდილი, რაიკარდს ვთხოვ, რონალდინიოს უკიდურესი სიფრთხილით მოექცეს. ბრაზილიელმა ადაპტაცია კარგად გაიარა და მომავალშიც თუ გაუთვალისწინებელმა პრობლემებმა ხელი არ შეუშალა, ისტორიას შექმნის.

—მაგრამ მწვრთნელმა თუ შესაბამისი მოთხოვნები არ წაუყენა...

— „კამპ ნოუ" ნებისმიერი დიდი მობურთალისთვის თავის გამოჩენის შესანიშნავი შანსია. კატალონიაში შედეგს და ლამაზ ფეხბურთს ერთდროულად ითხოვენ, იმ მოთამაშეს კი, ვინც ამის შერწყმას მოახერხეს, აუცილებლად გაალმერთებენ. თუმცა...

— თუმცა ამ გალმერთებას თავისი ჩრდილოვანი მხარეებიც აქვს

— როცა შედეგი უარესდება, ვარსკვლავებს თავს რისხვა ატყდებათ. რონალდინიოს სასარგებლოდ ისიც მეტყველებს, რომ იქ ახერხებს ზეიმის მოწყობას, სადაც მეტად მომთხოვნი ქომაგები არიან და სადაც ბევრმა სახელიანმა ფეხბურთელმა ბევრი ვერაფერი შეძლო.

— კარგა ხანია, „ბარსელონას" საპრიმერო თუ ევროპული ჯილდო არ მოუგია...

— „კამპ ნოუზე" ისეთი კაცი თამაშობს, რომლის შეძენასაც ევროპის ყველა კლუბი ინატრებდა. ახლა მთავარია, რონის ტექნიკა და სისწრაფე მწვრთნელმა გუნდს შეუსაბამოს, რადგან „ბარსა" მარტო ერთი, თუნდაც რონალდინიოს დარი ფეხბურთელის გუნდად არ უნდა იქცეს.




# ბუფონი კარში 5 მილიონად ჩადგა

**ტურინის** „იუვენტუსი" — წლეულს სეზონი აშკარად რომ ჩააგდო — სამომავლოდ თადარიგს აქედანვე იჭერს და კლუბის ხელმძღვანელობაც წამყვან ფეხბურთელებთან ახალ ხელშეკრულებებს აფორმებს.

„ბებერ ქალბატონს" ერთგულება უკვე დაუმტკიცეს ალესანდრო დელ პიერომ, ჩირო ფერარამ, ჯანლუკა ძამბროტამ, ალესიო ტაკინარდიმ, ანტონიო კონტემ და პაოლო მონტერომ.

გუშინ კი მათ მეკარე ჯანლუიჯი ბუფონი და ნახევარმცველი ენცო მარესკა შეემატნენ. მოკლედ, იტალიური სააგენტო ANSA გვატყობინებს: „სკუადრა აძურას" მეკარე ჯიჯი ბუფონი დილით „იუვეს" გენერალური დირექტორის, ლუჩანო მოჯის კაბინეტში შევიდა და საათნახევარში ახალი კონტრაქტით ხელდამშვენებული გამოვიდა, იგი „იუვენტუსის" საკუთრება 2008 წლამდე იქნება და წლიურ გასამრჯელოდ 5 მილიონ ევროს მიიღებს".

ბუფონი ახლა გუნდში ერთ-ერთი იმათთაგანია, ვისაც მაღალხელფასიანი ეთქმის. ძველ ხელშეკრულებას ყავლი 2006 წელს გასდიოდა. მეკარე კი აქამდე 3 მილიონ 200 ათასს იღებდა.

ისე როგორ იქნებოდა, მოჯის კაბინეტიდან გამოსულ ბუფონს ჟურნალისტები არ შემოხვეოდნენ. მეკარემაც მედიას გული გადაუშალა: „ძალიან კმაყოფილი ვარ. ტურინში თავს ძალიან კარგად ვგრძნობ და არ მესმის, რატომ უნდა წავსულიყავი აქედან. ხელფასის მომატება მე არ მითხოვია, მოჯიმ თვითონ შემომთავაზა. მადლობის მეტი რა მეთქმის, ესე იგი, „იუვენტუსში" მაფასებენ და ჩემთვის ესაა მთავარი".

**გიორგი გაზაძიძე**

# ჰოლანდიელს ზღაპრები მოსწყინდა

## ვან დერ სარმა ალ ფაიედი ტყუილში ამხილა

**„ფულემის"** ჰოლანდიელმა მეკარე ედვინ ვან დერ სარმა გუნდზე გული აიყარა. „ჩემი ადგილი აქ არ არის — თქვა მან — მსურს, რომ რაიმე ჯილდო მოვიგო, მაგრამ ვიცი, „ფულემში" ამას ვერ შევძლებ. ესაა მთავარი მიზეზი, რომლის გამოც ლონდონიდან წასვლა გადავწყვიტე. 33 წლის ვარ და ეგებ ბოლო შანსი მაქვს, გაცილებით სახელოვან კლუბში ვითამაშო, რათა რაღაც მოვიგო. მახსოვს, როცა სამი წლის წინ „ფულემის" ბოსებთან კონტრაქტის პირობებზე ვთანხმდებოდი, მათ ისეთი მომავალი დამიხატეს, გამიხარდა და ამიტომ დავყაბულდი. მითხრეს, რომ სუპერკლუბის შექმნას, ვარსკვლავების ყიდვას, ახალი სტადიონის აშენებას აპირებდნენ და მეც დავიჯერ. ყველაფერი ტყუილი გამოდგა. განსაკუთრებით ლუი საჰა გაყიდვამ გამაბრაზა. ის ხომ ჩვენი წარმატების შემოქმედი იყო".

ედვინ ვან დერ სარი ლონდონს ალბათ, დატოვებს და სავარაუდოდ, სამშობლოში დაბრუნდება. მისმა აგენტმა რობ იანსენმა განაცხადა, პსვ-დან უკვე დამიკავშირდნენ და წინადადებას განვიხილავთო. ეინდჰოვენს რონალდ ვატერეუსის შემცვლელი სჭირდება, რომელიც სეზონის ბოლოს წასვლას აპირებს.

ვან დერ სარი „ფულემში" 2001 წელს 5 მილიონი ევროს სანაცვლოდ გადავიდა, ნაკრების მაისურა კი 76-ჯერ მოურგია.

**ვაჟა ხუციშვილი**






ზაზა კიკილაშვილის ფოტო

მეტოქეებისთვის „სპარტაკის" კარი დევს უჭირავს

## დავით ყიფიანის თასი

**მეოთხედფინალი. საპასუხო მატჩები**

თბილისი. 6 აპრილი. 16 საათი. შევარდენი. 800 (ტევადობა 3 000)

### ვიტ ჯორჯია 1:1 *სპარტაკი* (0:1)

0:1 ჩიკვილაძე (32), 1:1 გოცირიძე (81)

| | |
|---|---|
| **ვიტ ჯორჯია:** მერლანი, იმედაშვილი, ლ. მერებაშვილი (მარცვალაძე 46), ინწკირველი, დეკანოსიძე, ლ. ნოზაძე, დილმელაშვილი, გველესიანი (დათუნაიშვილი 57), ადამია (ე. მერებაშვილი 57), ვ. გოჩაშვილი, რ. გოცირიძე *სათადარიგონი:* ბედიაშვილი; კვახაძე, მალიჩავა, ი. შენგელია **მწვრთნელი:** მერაბ კოჭლაშვილი | **სპარტაკი:** დევაძე, დონდოლაძე, ჟვანია, ა. იმნაიშვილი, ჩიკვილაძე, ლ. ვაშაკიძე, პაპუაშვილი, კიკნაძე (ი. სამხარაძე 46), ტაბიძე (კ. შალამბერიძე 20), მუშკუდიანი, მჭედლიშვილი (ტატანაშვილი 75) *სათადარიგონი:* გრძელიძე; კვერენჩხილაძე, მაღლაფერიძე, ს. შელია **მწვრთნელი:** მურთაზ ხურცილავა |

**გაფრთხილება:** დონდოლაძე (41)

**მსაჯები:** ლ. ფანიაშვილი; ზ. მენთეშაშვილი (ორივე თბილისი), ზ. ცირდავა (გულრიფში); მ. მალალურაძე (თბილისი)

**სფფ-ის ინსპექტორი:** გ. ძამუკაშვილი

# სენსაცია და ცხრაკლიანი დევი

**პაატა კვანტალიანი**

**აი, სეირი!** ჩემპიონატის აუტსაიდერმა „სპარტაკმა" უცხოურ შეკრებამოვლილი, ნალოლიავები და ამბიციური „ვიტ ჯორჯია" სათასო მეოთხედფინალიდან დაიფრინა. მურთაზ ხურცილავას გუნდის ნახევარფინალში გასვლა ბევრი ფაქტორის გათვალისწინებით სენსაციურია, თუმც დამსახურებულიც. „სპარტაკმა" ბრძოლით და თავდადებით მიაღწია მიზანს.

გუშინდელი მატჩის დიდი ნაწილის შემხედვარე ლიდერს აუტსაიდერისგან ვერაფრით გაარჩევდი. მეტიც, „სპარტაკი" მეტოქეზე ორგანიზებული და შემართული გახლდათ. „ვიტ ჯორჯია" მატჩის ბოლოს უდავო უპირატესობას კი ფლობდა, მაგრამ ეს უფრო განწირულის ბოლო გაბრძოლებას ჰგავდა.

გუშინდელი მატჩის მშვენება თმაშევერცხლილი აკაკი დევაძე გახლდათ, მართლაც დევივით რომ გადაკეტა კარის ყველა მისადგომი. დევაძემ გონივრული თამაშით და ფანტასტიკური ნახტომებით აღტაცება მოჰგვარა ქომაგს. მარტო ეს ეპიზოდი რად ღირს: მატჩის ბოლო იყო და „ვიტ ჯორჯია" უკანმოუხედავად უტევდა. დეკანოსიძის ფლანგური პასისას კარიდან ხუთ მეტრში დარჩენილი გოცირიძე ახტა ყველაზე მაღლა და ლაზათიანი თავურიც გამოუვიდა. გოლიაო, ბევრი წამოხტა, წამების წინ ჰაერში გაფრენილი დევაძე კი ბურთიანად წამოდგა ფეხზე...

თამაშის დებიუტში „ვიტ ჯორჯიამ" შტურმისმაგვარი სცადა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. სპარტაკელები ორგანიზებულად იცავდნენ თავს, ბურთის დამჭერი გიორგი კიკნაძეც საქმიანად ანაწილებდა პასებს და ხურცილავას გუნდს რამდენჯერმე კარგი კონტრშეტევის საშუალება გამოუჩნდა. ერთ-ერთი მათგანი სახიფათოც გამოდგა ვიტელთათვის — კიკნაძის ზუსტი პასით მუშკუდიანი დარჩა მერლანთან პირისპირ, მაგრამ უხერხულად მოექცა ბურთს და დარტყმა ვერ მოახერხა.

დრო გადიოდა და „ვიტ ჯორჯია" ვერაფრით ახერხებდა თავისი თამაშის პოვნას. მეტიც, კოჭლაშვილის გუნდი გზადაკარგული ფარასავით იყო, ერთი დეკანოსიძე ცდილობდა, თუმც მისი მონდომება, ცხადია, საგოლედ საკმარისი არ იყო. მერე კი „სპარტაკმა" სანახევარფინალო გოლი გაიტანა. ჩიკვილაძის ფლანგური ჯარიმისას ბურთმა იმედაშვილის ფეხზე გადაიარა და კარში შეგორდა. „ვიტ ჯორჯია" შოკში ჩავარდა. ნახევარფინალისტის ვინაობა, ფაქტობრივად, იმ წუთისთვის გადაწყდა, რადგან კოჭლაშვილის გუნდი არ იყო სამი გოლის გამტანი და არც იმსახურებდა, თუნდაც იმიტომ, რომ მეტოქის კარში პირველად 62-ე წუთზე დაარტყეს ვიტელებმა და ისიც დევაძის იოლი ლუკმა გახდა.

70-ე წუთამდე „სპარტაკს" სასურველი სცენარით მიჰყავდა მატჩი საფინალო სასტვენისკენ. ვაშაკიძე და შალამბერიძე ფლანგებზე ყოჩაღობდნენ, ჩიკვილაძე და დონდოლაძე მონდომებით უმკლავდებოდნენ მეტოქის შეტევებს, თუმც მატჩის დამთავრებამდე 20 წუთით ადრე „სპარტაკს" დაღლა დაეტყო და ერთი მსახიობის თეატრიც დაიწყო... „ბრავო დევა!" — ყვიროდნენ ტრიბუნებზე... დევაძემ არ გაატანინა დეკანოსიძეს, მკვდარი ბურთი აუღო გოცირიძეს, თავში ხელი წააშენინა მარცვალაძეს, თავგანწირული ნახტომით რაკეტასავით გასროლილი ბურთი კუთხურზე გადაუგდო იმედაშვილს... ყველგან დევაძის ხელი იყო, არადა, 63-ე წუთზე სპარტაკელთა მეკარე დაშავდა, ბევრს არც ეგონა, თამაშს თუ გააგრძელებდა, მაგრამ კაკო ბოლომდე დადგა. თუმც 81-ე წუთზე გოცირიძის ჩინებულ მაკრატელას ვერაფერი მოუხერხა. დეკანოსიძის პასისას გოცირიძე კარისკენ ზურგით იდგა და მცველებში გაჭედილმა ბურთის აგდება და დარტყმა მოახერხა — დევაძეს 5-6 კაცი მაინც ეფარებოდა, თანაც დარტყმაც უზადო იყო — ბურთი კარის კუთხეში შეგორდა.

ანგარიშის გათანაბრების შემდეგ „ვიტ ჯორჯიამ" შერჩენილი ძალები მოიკრიბა, მეტოქეს მიაწვა, თუმც საგოლე დარტყმამდე საქმე ველარ მიიყვანა.




ზაზა კიკილაშვილის ფოტო

სიმწრის გოლი „ვიტ ჯორჯიას" კარში

# ბათუმში გოლები გითუმად იდება

**გიორგი მურვანიძე** ბათუმიდან

შაბათის საჩემპიონატო მატჩისგან განსხვავებით, გუშინდელ სათასოს მშვენიერი ამინდი შეესწრო. ასობით ბათუმელმაც არ დაიზარა და სტადიონზე მოვიდა.

ბრძოლა არ შედგა: სტუმრებმა იოლად მოიგეს.

მატჩი ოთხი წუთის დაწყებული იყო, ფეხბურთელებს ბურთი ხეირიანად არც გაეგორებინათ, ანგარიში კი უკვე „დინამოსი" იყო: მე-4 წუთზე ანჩაბაძემ მარცხენა ფლანგიდან ჩააწოდა და ბურთი სანდრო იაშვილს თავზე დაასვა, ამან კი უპრობლემოდ გაიტანა.

მატჩის დასაწყისშივე, თანაც ორჯერ, ანჩაბაძეს ირაკლი ბალაძემ ცოცხალი თავით არ გაატანინა, ბრაზილიელი რომეროს დარტყმული კი ძელმა აისხლიტა.

მე-40 წუთზე ბათუმელმა ფირცხალაიშვილმა ბურთი აართვა სილაგაძეს, მეკარის საჯარიმოში შეიჭრა, ფეხებს შორის გაუტარა დინამოელთა კაპიტან შაშიაშვილს და... ეს ყველაფერი ძალიან ლამაზად გამოუვიდა, მაგრამ მეტი ველარ შეძლო და უხეიროდ დაარტყა.

ანგარიშის მიუხედავად, მეორე ტაიმში დინამოელებმა თავს მოდუნების უფლება არ მისცეს. ყველაფერი გადაწყვეტილი კი იყო, მაგრამ სტუმრები მასპინძლებს შეტევის საშუალებასაც არ აძლევდნენ და საჯარიმოში მიიმწყვდიეს.

59-ე წუთზე იაშვილმა ჩინებული პასი „მიართვა" გოგობერიშვილს, მან მეკარისთვის ბურთის თავზე გადაგდება მოინდომა, მაგრამ ბალაძე იოლად გაერკვა სიტუაციაში. ორიოდ წუთში კი ბობოხიძემ ისეთი პოზიციიდან ვერ გაიტანა, როცა არგატანა უფრო ძნელია. მეტოქის ნახევარზე დასახლებულმა „დინამომ" ბევრი საგოლე მომენტი შექმნა, გოლზე ფიქრში კი თბილისელმა მცველებმა ყურადღება მოადუნეს და მარცხენა ფლანგიდან დიდიამ ჩააწოდა — დარჩიძემ თავი დაუხვედრა, ბურთი მეკარეს ფეხზე მოხვდა, შემდეგ ხარიხას და ბათუმელთა სამწუხაროდ კარში არ შევარდა. „დინამო" ადრე თუ გვიან მაინც გაიტანდა და მე-60 და 62-ე წუთებზე გოგობერიშვილმა ეს ორჯერ შეძლო. პირველად მისი ასისტენტობა იაშვილმა იკისრა, მარცხენა ფლანგზე გალოგრეს ბურთი მოჰპარა, დაბალი პასი გააკეთა, ალეკომაც იყოჩაღა და მეკარისგან მარცხენა კუთხეში გაიტანა. მეორედ ასისტენტობა რომერომ ითავა, მცველებს ბურთი ტექნიკურად თავზე გადაუგდო და გოგობერიშვილი ბალაძეს შეატოვა.

„ბათუმმა", მთლად ხელცარიელი არ დავრჩეო, 71-ე წუთზე მოახერხა და გაიტანა: ფირცხალაიშვილმა შორიდან ძლიერად დაარტყა, ბურთი ძელს მოხვდა, ფურცხვანიძემ კი დაამატა და 1:3. წერტილი კი დინამოელებმა დასვეს: კაშიას ფლანგური გარღვევა, პასი მელქაძეს და... გოლი.

*ივო შუშაკი:* „ბათუმში ორბურთიანი უპირატესობით ჩამოვედით, აქაც თავიდანვე გავიტანეთ და ამით, ფაქტობრივად, ყველაფერი გადავწყვიტეთ. მეორე ტაიმში უფრო კარგად ვითამაშეთ და სამი ბურთი გავიტანეთ. მადლობა გულშემატკივრებს, ჩვენს გატანილ გოლებზეც ტაშს რომ უკრავდნენ".

ბათუმი. 6 აპრილი. 16 საათი. დინამო. 600 (ტევადობა 5 000)

### ბათუმი 1:4 *დინამო* (0:2)

0:1 იაშვილი (4), 0:2, 0:3 გოგობერიშვილი (60, 62), 1:3 ფურცხვანიძე (71), 1:4 მელქაძე (73)

| | |
|---|---|
| **ბათუმი:** ი. ბალაძე, მახარაძე, გალოგრე (იალამიდი 64), დიდია, მანჩხავა, თედორაძე, დარჩიძე, გვიანიძე, დუმბაძე, ფირცხალაიშვილი, ბეჟანიძე (ფურცხვანიძე 69) *სათადარიგონი:* შერიფაძე; ქაცარავა, თ. ნემსაძე, სირბილაძე, კალანდია **მწვრთნელი:** ასლან ბალაძე და ვალერიან ჩხარტიშვილი | **დინამო:** გვარამაძე, კარლოსი (კაშია 67), წერეთელი, შაშიაშვილი, სილაგაძე, კვირკველია, გოგობერიშვილი, რომერო, ანჩაბაძე (კანდელაკი 59), ს. იაშვილი, მ. ბობოხიძე (მელქაძე 70) *სათადარიგონი:* თოთლაძე; ექონია, ახალაია, კაკალაძე **მწვრთნელი:** ივო შუშაკი |

**გაფრთხილება:** მახარაძე (5), ბეჟანიძე (58)

**მსაჯები:** ს. კვარაცხელია (ზუგდიდი); ა. სამხარაძე (სოხუმი), გ. ჩიგოგიძე (სამტრედია); გ. კოკაჩეიშვილი (ქუთაისი)

**სფფ-ის ინსპექტორი:** გ. სორდია

# გოლიც გავიდა, გორიც გავიდა



გოლი და სიხარული გორული

თბილისი. 6 აპრილი. 16 საათი. ისანი. 2 000 (ტევადობა 3 000)

## თბილისი 1:1 დილა (0:0)

| | |
|---|---|
| 0:1 ძოძუაშვილი (11), 1:1 გეწაძე (69) | |
| თბილისი: გრიშიკაშვილი, სიდამონიძე, ქემოკლიძე, ელიავა, გ. ნუგ. ჭელიძე, მესხი, აფციაური, ხოჯავა (გეწაძე 41), ჯიქია, გ. ნოდ. ჭელიძე, ფიფია<br>სათადარიგონი: ნაჭყებია; დ. ოდიკაძე, მიქიაშვილი, გოგიტა გოგუა<br>მწვრთნელი: გიორგი დევდარიანი | დილა: სოლოლაშვილი, ბალაშვილი, რ. ხაჭაპურიძე, ლ. გოჩაშვილი, ლომიძე, ზ. ლაცაბიძე, სულთანიშვილი, ბ. ჩიტაია, ძოძუაშვილი (ჯობაძე 75), შატაკიშვილი (საყვარელიძე 85), რაზმაძე (გ. ჩიტაია 63),<br>სათადარიგონი: თ. ილურიძე; გ. მოდებაძე, მალანია, ბ. შელია<br>მწვრთნელი: ზურაბ ხორგუაშვილი |
| გაფრთხილება: ლომიძე (27), შატაკიშვილი (40), ბ. ჩიტაია (62), სულთანიშვილი (77) | |
| მსაჯები: ა. შილაკაძე; მ. ელიკაშვილი (ორივე თბილისი), ლ. მიქელაძე (სამტრედია); ა. შალამბერიძე (ქუთაისი) | |
| სფფ-ის ინსპექტორი: ნ. კაკულია | |

**კობა ინასარიძე**

**ცუდ დროს** მოუწია „თბილისს“ „დილასთან“ საპასუხო მატჩის თამაშმა — შაბათს „დინამოსთან“ ნათამაშმა თბილისელებმა ორ დღეში ენერგიის აღდგენა ვერ მოასწრეს. აშკარად ჩანდა, მასპინძლები გორელებს გადაღლილები დაუხვდნენ. შედეგიც შესაბამისი მიიღეს — თასისთვის ბრძოლას ჩამოშორდნენ.

არადა, კაცმა რომ თქვას, „თბილისი“, თუნდ არაქათგამოცლილი, ისე იყო მონდომებული, ნახევარფინალი მასზეც ალალი იქნებოდა. იქნებოდა, მაგრამ ის ძალა, რაც „ეროვნულზე“ დატოვეს ახალგაზრდა თბილისელებმა, „ისანზე“ ველარ მოიკრიბეს და, არც „დილაა“ ის გუნდი, ბურთი გაუგოროს და მოუგო.

ენერგია ენერგიად და, „თბილისს“ ძირითადის სამი ფეხბურთელიც აკლდა, მეოთხე — ხოჯავა კი შუა თამაშისას დაშავდა და შესაცვლელი შეიქნა. დაშავებულები იყვნენ მიკუჩაძე და ოდიკაძე, კვარაცხელია — დისკვალიფიცირებული. მოკლედ, „თბილისი“ თავის წილად „დინამომაც“ შეიწირა და ევროპისკენ მომზირალ თანაქალაქელებს მიზნის მისაღწევად ოდენ ჩემპიონატი დაუტოვა.

გორში ნულოვანი ფრე საპასუხო მატჩის წინ, ბუნებრივია, „თბილისის“ შანსებს ერთი-ორად ზრდიდა, თუმცა სტუმრად გატანილი გოლით ეს შანსები შესაძლო იყო, ასევე ერთი-ორად შემცირებულიყო. ძოძუაშვილის თავურის შემდეგ კი ასეც მოხდა. გორელებმა მასპინძლებს წამიერი უყურადღებობა არ აპატიეს და დასაჯეს: მარცხენა ფლანგიდან შატაკიშვილის ჩაწოდებულზე ძოძუაშვილმა მცველებს დაასწრო, თავით დაარტყა თუ კეფით ძნელი გასარჩევი იყო, ფაქტი კი ასეთია — ბურთი უცნაური ტრაექტორიით გრიშიკაშვილის ზურგსუკან კარში ჩაეშვა — 0:1.

ეს იყო და, „დილას“ გრიშიკაშვილისკენ ბარე საათ.ი აღარც გაუხედავს. გორელები თითქმის მთელი გუნდით თავს იცავდნენ და „თბილისის“ შეტევებს საკუთარი საჯარიმოს მისადგომებთან ელოდნენ. მასპინძლები კი „დილას“ ჯანმაგარ მცველებთან ჭიდილში ხშირად წაგებულნი რჩებოდნენ. „თბილისს“ მომენტები კი ჰქონდა, უფრო სწორად, ნახევარმომენტები, მაგრამ ხეირი ვერ ნახა.

შესვენების შემდეგ „თბილისმა“, როგორც შეეძლო, მოუჭირა მარწუხებს და უპირატესობაც თვალსაჩინო გახდა. ყოჩაღობდა გორელთა დაცვა და მეკარე სოლოლაშვილი, „დილას“ შუა ხაზიც უფრო ჩაშლაზე თამაშობდა, რისთვისაც მათ კაცი ვერ გაამტყუნებს — ანგარიში ხომ სტუმრებისა იყო. ერთი კია — გორელ ნახევარმცველებს იშვიათი შეტევებისას ოდნავ ტემპში რომ ეთამაშათ, შესაძლო იყო, „თბილისი“ უარესად დაესაჯათ.

საპასუხო გოლი მასპინძლებმა მატჩის დამთავრებამდე ოცი წუთით ადრე გაიტანეს. გეწაძეს, რომელმაც პირველი ტაიმის ბოლოს დაშავებული გამთამაშებელი ხოჯავა შეცვალა, სოლოლაშვილმა ჯერ არ გაატანინა და ბურთი კუთხურზე გადააგდო, იქიდან ჩაწოდებულზე კი დანებდა: ფიფიას ჩაწოდება და გეწაძის ზუსტი თავური ერთი იყო — ბურთი შორეულ ძელს მოხვდა და კარში აღმოჩნდა. წუთში სოლოლაშვილს თავური უკვე ფიფიამ დაურტყა, მაგრამ მეკარე ბურთს ადგილზე დაუხვდა.

ოცი წუთი მეორე გოლისთვის საკმარისი დრო კი იყო და „თბილისს“ ორ-სამჯერ შეეძლო კიდეც თამაშის შემოტრიალება, მაგრამ... რითაც დავიწყეთ, იმით დავამთავროთ — ცუდ დროს მოუწია „თბილისს“ „დილასთან“ საპასუხო მატჩმა. „დინამოსთან“ ორი დღის წინანდელმა ომმა, მასპინძლებს თამაშის ბოლოსკენ კვალი უფრო დაატყო.



მერაბ ძოძუაშვილმა „დილა“ ნახევარფინალში გაიყვანა

ქუთაისი. 6 აპრილი. 16 საათი. ტორპედო. 400 (ტევადობა 19 600)

## ტორპედო 5:1 ქობულეთი (5:0)

| | |
|---|---|
| 1:0 ბაბუნაშვილი (28), 2:0 ხუციშვილი (65), 3:0 ჭინჭარაული (66), 4:0 დარსაძე (78), 5:0 მემარნიშვილი (25), 5:1 [illegible] (89) | |
| ტორპედო: გ. გაბელია (რევიშვილი 48), ლ. ჭელიძე, მახვილაძე, ს. თოდუა, კოშკაძე, მემარნიშვილი, ბოლქვაძე, ბაბუნაშვილი (ნადირაძე 63), ჭინჭარაული, ხუციშვილი, დავითაშვილი (გ. დარსაძე 56)<br>სათადარიგონი: ადუაშვილი, მუმლაძე, ლალაძე<br>მწვრთნელი: ოთარ გაბელია | ქობულეთი: გაბუნია, ბერიძე, ჩახუნაშვილი, კვესეიშვილი, ჯინჭარაძე, გოგიშვილი, გვიჩია, ხუჭუა, მალაზონია (თურმანიძე 46), კვერნაძე, გოგმაჩაძე (კრავეიშვილი 67)<br>სათადარიგონი: ფასეიშვილი; ჯინჯიხაძე<br>მწვრთნელი: ავთანდილ გორგილაძე |
| მსაჯები: ვ. ელისაბედაშვილი; ა. ნონიკაშვილი, მ. ურუშაძე (სამივე თბილისი); ა. ორდინიძე (ონი) | |
| სფფ-ის ინსპექტორი: ა. მილჩენკო | |

# რა შუაშია პრესტიჟი?!

**გია ამირანაშვილი** ქუთაისიდან

**ქუთაისის „ტორპედო“** ნახევარფინალში ქობულეთშივე გავიდა ხუთი უპასუხო ბურთის წყალობით. ჰოდა, ოთარ გაბელიამ „კოლხეთთან“ შაბათს გასამართი საჩემპიონატო მატჩისთვის ძირითადის რამდენიმე ფეხბურთელი დაასვენა და ახალგაზრდებს თავის გამოჩენის შანსი მისცა. ამის მიუხედავად, მასპინძლები საგრძნობ უპირატესობას ფლობდნენ და სტუმართა მეკარე გაბუნიას რომ არ ეყოჩაღა, ანგარიში უფრო დიდი იქნებოდა. პირველი ხიფათი „ქობულეთის“ კართან მე-8 წუთზე შეიქმნა, როცა ბაბუნაშვილის დარტყმული ძელმა აისხლიტა. მერე ბოლქვაძეს შეეძლო გატანა, მაგრამ გაბუნიამ ივარგა, ისევე, როგორც ათიოდ წუთში, როცა კოშკაძემ ძლიერად დაარტყა. მე-20 წუთზე კი ზღვისპირელთა მეკარემ დავითაშვილს და ბოლქვაძეს ისეთი ბურთები აუღო, მაყურებელთა მხურვალე ტაში დაიმსახურა. ანგარიში კი 28-ე წუთზე გაიხსნა: კოშკაძის ჩაწოდებული ბურთი ბაბუნაშვილმა მკერდით გაისწორა და შემობრუნებით აუღებელი დაარტყა — 1:0. მეორე ტაიმში შეცვლაზე შესულ დარსაძესაც შეეძლო გატანა, მაგრამ მიზანმა უმტყუნა. ანგარიში 65-ე წუთზე გაიზარდა ასეთი კომბინაციით: ნადირაძე-ბოლქვაძე-ხუციშვილი-გოლი. ერთ წუთში აქტიურ მემარნიშვილს დაუფასა გარჯა ჭინჭარაულმა და 3:0.

პირველი ლიგის ლიდერი ძალიან უსუსურად გამოიყურებოდა. ქობულეთელებმა ხეირიანად შეტევაც კი ვერ შეძლეს, „ტორპედომ“ კი კიდევ ორჯერ იხეირა. ერთადერთი, რაც ავთანდილ გორგილაძის შეგირდებმა მოახერხეს, პრესტიჟისას რომ უწოდებენ (საკითხავი კია, რატომ), იმ გოლის გატანაა.

# უტრეხტი უტეხი არაა

## გოგაამ და ენსხედემ თასი ირწმუნეს



*გოგა გახოკიძის „ტვენტემ“ ჰოლანდიის ჩემპიონატის ბოლო ტურში კვლავ წააგო. ენსხედელებმა საშინაო მატჩი აუტსაიდერ „ვოლენდამთან“ 1:2 დათმეს და ქომაგთა დიდი რისხვაც დაიტეხეს თავს. ქართველ ნახევარმცველს არ უთამაშია, რაკილა ტრავმირებულია და ორი კვირის წინ „უტრეხტთან“ მატჩში გახეულ კუნთს მკურნალობს...*

— ტრავმებს უკვე მიჩვეული ვარ. „უტრეხტთან“ თამაშამდე ლამის ორი თვე მოვუნდი ტრავმის მოშუშებას და ფორმის აღდგენას და კვლავ დავშავდი. ექიმები ყურადღებას არ მაკლებენ, დღეში ორჯერ მასაჟებსაც მიკეთებენ.

— მოედანს როდის დაუბრუნდები?

— ექიმთა რჩევით, უკვე ვიძუნძულე. ტკივილი არ მიგრძვნია, მაგრამ სრული დატვირთვით ვარჯიში ჯერ ადრეა. მომავალი ტურის მატჩსაც გამოვტოვებ „როზენდალთან“ და ალბათ 17 აპრილს „დენ ჰააგთან“ თამაშისთვის მზად ვიქნები.

— უშენობა თუ დაეტყო „ტვენტეს“ „ვოლენდამთან“ მატჩში?

— მწვრთნელმა მითხრა, მაგრად გვაკლიხარო... „ტვენტემ“ საზიზღრად ითამაშა და ქომაგმა ლამის ობსტრუქცია მოგვიწყო. არც ვამტყუნებ, ზედიზედ მეოთხე თამაში წავაგეთ, თანაც „ვოლენდამთან“ მეტისმეტი მოუვიდათ ბიჭებს. ეს გუნდი ხომ გავარდნის კანდიდატია.

— როგორც ჩანს, „ტვენტესთვის“ ჩემპიონატი ფორმალობად იქცა და გეზი თასის ფინალისკენ გაქვთ აღებული.

— უეფას თასის საგზურის მოსაპოვებლად ერთადერთი თამაშის მოგებაა საჭირო — ჰოლანდიის თასის ფინალში „უტრეხტთან“, რომელსაც ცნობილი სათასო გუნდის სახელი აქვს ჰოლანდიაში. თავად განსაჯეთ — ბოლო ოთხი წელია „უტრეხტი“ ქვეყნის თასის ფინალში გადის, შარშან კი გადამწყვეტ მატჩში „ფეიენოორდი“ გაანადგურა. ასე რომ, მძიმე ფინალი გველის 23 მაისს, თუმცა ენსხედეში ყველა დარწმუნებულია, რომ თასს ჩვენ მოვიგებთ და მეც ასე ვფიქრობ.

**პაატა ქვანტალიანი**

*ბურთი სწრაფად და წინ უნდა დაგორავდეს — თქვა ალენ ჟირესმა, როცა ჩვენი ჩემპიონატის და სათასო მატჩებს დაესწრო. ჟირესს ახალი და განსაკუთრებული არაფერი უთქვამს, მაგრამ ბურთის სწრაფად და ზუსტად გორებას მწვრთნელ-ფეხბურთელთა უნარის გარდა კარგი მინდორიც სჭირდება.*

*უხარისხო მინდორზე ჩვენში ვინ აღარ ჩივის — ივო შუშაკიდან დაწყებული, ქვედა ექვსეულის მწვრთნელებით დამთავრებული, გამოცდილი თუ დამწყები ფეხბურთელები. მოკლედ, მოედნების თემა ჩვენში ბოლო დროს ძალიან გააქტუალურდა და საქართველოს საფეხბურთო პროფესიული ლიგის პრეზიდენტ დიმიტრი რამიშვილსაც რამდენიმე შეკითხვით მივმართეთ*

# პროფლიგური მინდორიზაცია

## კლუბებს აგრონომებს და ფულს მიაშველებენ



— პროფლიგას უხარისხო მოედნების პრობლემის მოგვარების კონკრეტული პროგრამა ხომ არ შეუმუშავებია?

— ამ საკითხს ჩვენ ძალიან სერიოზულად ვუდგებით, რადგან კარგი მოედნების გარეშე ფეხბურთის წინსვლა შეუძლებელია. ამასთან დაკავშირებით ჩვენ უკვე ვაწარმოეთ კონსულტაციები უმაღლესი ლიგის კლუბებთან და საერთო აზრია, რომ ამ პრობლემის მოსაგვარებლად კონკრეტული ნაბიჯები უნდა გადაიდგას. კლუბები დაინტერესებული არიან, რომ მატჩები კარგ მინდვრებზე გამართონ, რადგან მხოლოდ ხარისხიან მოედანზეა შესაძლებელი კარგი თამაშის ჩვენება, რაც მაყურებელს იზიდავს. ხოლო თუ გულშემატკივარი არ მივიდა სტადიონზე, კლუბში ჩადებული ინვესტიცია ფუჭი გამოდგება.

— ამ პრობლემის მოგვარებისკენ გადადგმული პირველი ნაბიჯი რა იქნება?

— უმაღლესი ლიგის გუნდებს კატეგორიულად უნდა მოვთხოვოთ, რომ კარგი მინდვრები ჰქონდეთ. დაუშვებელია, რომ გუნდი ხან ერთ სტადიონზე ატარებდეს საშინაო მატჩებს, ხან მეორეზე. უმაღლესი ლიგის კლუბმა მინიმუმ ოთხწლიანი იჯარა უნდა გააფორმოს ერთ სტადიონთან, თუ თავისი მოედანი არ აქვს. არც ის შეიძლება, რომ ერთი და იგივე მინდორზე რამდენიმე გუნდი ატარებდეს საშინაო მატჩებს. პროფლიგაში აუცილებლად შეიქმნება საგანგებო კომისია, რომელიც მოედნებს გააკონტროლებს. ერთ წელიწადში ამ პრობლემის გადაჭრაში ეფექტურ შედეგებს მივიღებთ.

— **კარგ მინდორს არცთუ ცოტა ფული სჭირდება — უცხოეთიდან საფარის ჩამოტანა-დაგება დაახლოებით 150 ათასი ევრო ჯდება, რაც ჩვენს ჩემპიონატში მონაწილე კლუბთა უმრავლესობისთვის საკმაოდ დიდი თანხაა.**

— უცხოეთიდან ჩამოტანილი საფარის გარეშეც შესაძლებელია კარგი მოედნის მოწყობა. პროფლიგას სურს, კვალიფიციური აგრონომები დაიქირავოს, რომლებიც კონსულტაციას გაუწევენ კლუბებს, მაგრამ კლუბებიც ვალდებულნი უნდა იყვნენ რეკომენდაციების შესასრულებლად. ყველაფერ ამას ზემოთხსენებული კომისია დაარეგულირებს.

— გასაგებია, მაგრამ აგრონომთა მითითებების შესრულებასაც ფული სჭირდება...

— პროფლიგა მზადაა, მინდვრების მოსაწესრიგებლად კლუბებს ფულადი დახმარება გაუწიოს, მაგრამ ასეთი დახმარება პირველადი იქნება და არა უწყვეტი.

— ყველაფერს ალბათ იურიდიული ბაზაც სჭირდება, რადგან პროფლიგა და კლუბები გარკვეულ ვალდებულებებს იღებენ — როდის აპირებთ ამ ვალდებულებათა იურიდიულად გაფორმებას?

— როცა სეზონის დამთავრების შემდეგ პროფლიგის მორიგი ყრილობა გაიმართება.

**დავით თავართქილაძე**

# ფეხო, გამიშვი, გამიშვი...

## დასამტკიცებელი კი დამტკიცდება



*აშკარაა, „დინამოს" თამაშს დამაჯერებლობა აკლია. რაც ჩემპიონატი განახლდა, სამი ტურია, გუნდმა გამარჯვება არ იცის. შედეგი: ოთხქულიანი ჰანდიკაპი თვალსა და ხელს შუა გაქრა და ლიდერობა „სიონს" დარჩა. ასეთ მდგომარეობაში მყოფ „დინამოს" მართლაც რომ ჰაერივით სჭირდება დაშავებული ლადო ბურდული.*

*დინამოელი ნახევარმცველი კი უკვე ბურთით ვარჯიშობს და დაბრუნებას შუა აპრილში გეგმავს...*

— ახლა თავს გაცილებით უკეთ ვგრძნობ. გუნდთან ერთად დღეში ორჯერ მეც ვვარჯიშობ, ცხადია, შედარებით მსუბუქად, კონტაქტს მაინც ვერიდები. ორთაბრძოლების გარდა შუშაკის ყველა მითითებას ვასრულებ. ოღონდ მარცხენა ფეხით დარტყმასაც ვერიდები.

— **სრულად როდის გამოჯანმრთელდები?**

— მკურნალობის ორკვირიანი ციკლი 12 აპრილს იწურება. ამის შემდეგ გუნდთან ერთად ბოლომდე მეც დავიტვირთები.

— **წონის პრობლემა არ გაქვს?**

— ცოტა მოვიმატე, ორი კილო თუ მექნება დასაკლები. ამას ყოველთვის უპრობლემოდ ვახერხებდი.

— **ალბათ დამეთანხმები, რომ „დინამოს" საკმაოდ რთული პერიოდი უდგას. რით შეიძლება ეს აიხსნას?**

— ალბათ, ცოტა გადაღლილებიც არიან [illegible]. საერთოდ, შეჯიბრის შემდეგ [illegible] ორი-სამი თამაში [illegible] და მერე ძველებურად იხსნები. თანაც ხუთი წამყვანი ფეხბურთელის მოკლება თვალში საცემია, გუნდს შეთამაშება ჯერ კიდევ აკლია. „ლოკომოტივთან" და „სიონთან" ძნელი საცნობები იყვნენ. „თბილისთან" აშკარად უკეთ ითამაშეს, განსაკუთრებით მეორე ტაიმში. შუშაკიც ასე გეგმავდა, აპრილის შუაში ფეხბურთელები ფორმის პიკში იქნებიან.

— **აპრილის მეორე ნახევარში კი შენც დაეხმარები „დინამოს"...**

— შეიძლება, თავიდან ოთხმოცდაათი წუთი არ ვითამაშო, მაგრამ ნელ-ნელა რომ დავიწყებ, ფაქტია.

— **ლობანოვსკის ტურნირისთვის მზად იქნები?**

— მაისის შუამდე ჯერ კიდევ საკმაო დროა. ფეხმა თუ არ მიმტყუნა, ვფიქრობ, სწორედ ამ ტურნირისთვის შევალ ოპტიმალურ ფორმაში. მანამდე, როგორც ვიცი, ნაკრებს აპრილის ბოლოს უწევს ამხანაგური მატჩი და იქაც მინდა ძალების მოსინჯვა. გავიგე, რომ ჟირესმა თავის გაფართოებულ შემადგენლობაში მეც შემიყვანა, ასე რომ, ჩემი დასამტკიცებელი უნდა დავამტკიცო.

**დავით ერაძე**

# შევაჯიბროთ?!

## ქართველებმა ესენგე დატოვეს

СПОРТ ЭКСПРЕСС

თანამეგობრობისა და ბალტიისპირეთის ქვეყნების საუკეთესო ფეხბურთელის გამოსავლენ გამოკითხვაში უკრაინელ ანდრეი შევჩენკოს ბადალი არ ჰყავს. იანვრის, თებერვლისა და მარტის შედეგებით „მილანის" სუპერფორვარდი სხვათათვის მიუწვდომელია.

ამ გამოკითხვაში საქართველოდან რიგრიგობით სამი სპორტული გაზეთი მონაწილეობს: „სარბიელი", „მთავარი გაზეთი სპორტი" და „ოლიმპი". ამჯერად „მთავარი გაზეთი სპორტის" რიგი იყო.




**ანდრეი შევჩენკომ პოსტსაბჭოურ გამოკითხვაში კონკურენტები პოსტშევჩენკო მდგომარეობაში დატოვა**

შევჩენკოს პირველობა გასაკვირი სულაც არაა. მარტში ანდრეი ალბათ ევროპაშიც ერთ-ერთი საუკეთესო იყო. „შევამ" ზედიზედ 5 მატჩში 6 გოლი გაიტანა, აქედან სამი სერია A-ში და სამიც ჩემპიონთა ლიგაში. სათქმელია ისიც, რომ შევჩენკო იტალიის ჩემპიონატის ბომბარდირთა დავაშიც რიხინით მიდის. ის უკვე ოთხი ბურთით უსწრებს რომაელ ფრანჩესკო ტოტის.

ერთი სიტყვით, შესაძლო 80 ქულიდან მიღებული 77 ქულა შევჩენკოსთვის ნაღდად ალალია. უკრაინელი თოთხმეტმა გამოცემამ დაასახელა პირველ ადგილზე და თითო-თითომ მეორე-მესამეზე.

აქვე იმასაც გეტყვით, რომ მარტში ქართველ ფეხბურთელთაგან ერთიც ვერ მოხვდა ნომინანტთა შორის. შეგახსენებთ, იანვარში დასახელდნენ შოთა არველაძე და ვიტალი დარასელია, თებერვალში კი გოგა გახოკიძე.

**კახა შალამბერიძე**

# სპორტ-ექსპრესის გამოკითხვა

## თანამეგობრობისა და ბალტიისპირეთის ქვეყნების საუკეთესო ფეხბურთელი

მარტი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ანდრეი შევჩენკო (უკრაინა) | 14 | 1 | 1 | - | - | 77 |
| დმიტრი სიჩოვი (რუსეთი) | - | 9 | 2 | 2 | - | 46 |
| მარის ვერპაკოვსკისი (ლატვია) | 1 | 1 | 4 | 4 | 2 | 31 |
| დმიტრი ალენიჩევი(რუსეთი) | 1 | 3 | 1 | 2 | 5 | 29 |
| სერგეი ოვჩინიკოვი (რუსეთი) | - | 1 | 5 | 1 | 3 | 24 |
| ედგარას იანკაუსკასი (ლიტვა) | - | 1 | 1 | 4 | 1 | 16 |
| ვალერი კარპინი (რუსეთი) | - | - | 2 | 2 | 3 | 13 |
| ალექსეი სმერტინი (რუსეთი) | - | - | - | 1 | 2 | 4 |

პირველი ადგილი — 5 ქულა, მეორე — 4, მესამე — 3, მეოთხე — 2, მეხუთე — 1

საერთო ჩათვლა

იანვარი — მარტი

| | |
|---|---|
| შევჩენკო (უკრაინა) | 207 |
| კარპინი (რუსეთი) | 127 |
| სიჩოვი (რუსეთი) | 60 |
| სმერტინი (რუსეთი) | 55 |
| დარასელია (საქართველო) | 36 |
| გახოკიძე (საქართველო) | 31 |
| ვერპაკოვსკისი (ლატვია) | 31 |
| ალენიჩევი (რუსეთი) | 29 |
| რომაშჩენკო (ბელარუსი) | 28 |
| არველაძე (საქართველო) | 25 |
| გლები (ბელარუსი) | 24 |
| მოსტოვოი (რუსეთი) | 24 |
| ოვჩინიკოვი (რუსეთი) | 24 |
| იანკაუსკასი (ლიტვა) | 16 |
| კალნინშსი (ლატვია) | 3 |



# აღარ გვინდა ტალახი!

# სარბიელი და კროკო

## წარმოგიდგენთ

ქართული ბიბლიოთეკა

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **ინგლისი. პრემიერლიგა. XXXII ტური** | | | | | | |
| | | **9 აპრილი** | | | | | | |
| 16.30 | 010 | არსენალი-ლივერპული | 1,75 | 3,3 | 4,4 | 1,14 | 1,25 | 1,88 |
| 24.00 | 011 | ევერტონი-ტოტენჰემი | 2,1 | 3,2 | 3,3 | 1,26 | 1,28 | 1,62 |
| | | **10 აპრილი** | | | | | | |
| 19.00 | 012 | ბირმინგემი-მანჩესტერი | 4,2 | 3,2 | 1,8 | 1,81 | 1,26 | 1,15 |
| 19.00 | 013 | ბლექბერნი-ლიდსი | 2,05 | 3,2 | 3,4 | 1,24 | 1,27 | 1,64 |
| 19.00 | 014 | ბოლტონი-ასტონ ვილა | 2,4 | 3,2 | 2,7 | 1,37 | 1,27 | 1,46 |
| 19.00 | 015 | ჩარლტონი-პორტსმუთი | 1,8 | 3,3 | 4,0 | 1,16 | 1,24 | 1,8 |
| 19.00 | 016 | ჩელსი-მიდლსბრო | 1,35 | 4,2 | 8,0 | 1,02 | 1,15 | 2,75 |
| 19.00 | 017 | ლესტერი-ფულემი | 2,3 | 3,2 | 2,9 | 1,33 | 1,28 | 1,52 |
| 19.00 | 018 | სიტი-ვულვერჰემპტონი | 1,5 | 3,6 | 6,0 | 1,05 | 1,2 | 2,25 |
| | | **ინგლისი. I დივიზიონი. გადადებული მატჩები** | | | | | | |
| | | **7 აპრილი** | | | | | | |
| 23.45 | 061 | მილუოლი-კარდიფი | 1,75 | 3,4 | 3,8 | 1,15 | 1,19 | 1,79 |
| | | **ინგლისი. კონფერენსი. გადადებული მატჩები** | | | | | | |
| | | **8 აპრილი** | | | | | | |
| 23.45 | 152 | ტელფორდი-ჭრინგტონი | 2,2 | 3,2 | 2,9 | 1,3 | 1,25 | 1,52 |
| | | **შოტლანდია. პრემიერლიგა. გადადებული მატჩები** | | | | | | |
| | | **7 აპრილი** | | | | | | |
| 23.45 | 179 | ლივინგსტონი-კილმარნოკი | 2,05 | 3,2 | 3,2 | 1,24 | 1,24 | 1,6 |
| 23.45 | 180 | მაზერუელი-ჰართსი | 2,6 | 3,1 | 2,45 | 1,41 | 1,26 | 1,36 |
| | | **გერმანია. ბუნდესლიგა. XXVIII ტური** | | | | | | |
| | | **10 აპრილი** | | | | | | |
| 18.30 | 027 | აინტრახტი-ვერდერი | 3,8 | 3,4 | 1,8 | 1,79 | 1,22 | 1,17 |
| 18.30 | 028 | ბოხუმი-მიუნხენი | 1,75 | 3,4 | 4,2 | 1,15 | 1,23 | 1,87 |
| 18.30 | 029 | ჰამბურგი-დორტმუნდი | 2,35 | 3,3 | 2,7 | 1,37 | 1,25 | 1,48 |
| 18.30 | 030 | ჰერტა-ვოლფსბურგი | 1,85 | 3,3 | 3,8 | 1,18 | 1,24 | 1,76 |
| 18.30 | 031 | ლევერკუზენი-კაიზერსლაუტერნი | 1,55 | 3,6 | 5,6 | 1,08 | 1,21 | 2,19 |
| 18.30 | 032 | ჰანზა-მიონხენგლადბახი | 1,85 | 3,2 | 4,0 | 1,17 | 1,26 | 1,77 |
| 18.30 | 033 | ბაიერნი-შალკე | 1,55 | 3,6 | 5,6 | 1,08 | 1,21 | 2,19 |
| | | **11 აპრილი** | | | | | | |
| 20.30 | 034 | ფრაიბურგი-შტუტგარტი | 2,7 | 3,2 | 2,4 | 1,46 | 1,27 | 1,37 |
| 20.30 | 035 | ჰანოვერი-კიოლნი | 1,6 | 3,4 | 4,6 | 1,08 | 1,18 | 1,95 |
| | | **გერმანია. II ბუნდესლიგა. XXVIII ტური** | | | | | | |
| | | **8 აპრილი** | | | | | | |
| 22.00 | 206 | კოტბუსი-არმინია | 1,9 | 3,2 | 3,6 | 1,19 | 1,24 | 1,69 |
| 22.00 | 207 | ალემანია-უნიონი | 1,5 | 3,6 | 5,6 | 1,05 | 1,18 | 2,19 |
| 22.00 | 208 | ობერჰაუზენი-უნტერჰახინგი | 1,8 | 3,3 | 3,8 | 1,16 | 1,22 | 1,76 |
| | | **გერმანია. რეგიონალლიგა (სამხრეთი). XXI ტური** | | | | | | |
| | | **7 აპრილი** | | | | | | |
| 22.00 | 231 | აუგსბურგი-ფიურსტენფელდბრუკი | 1,85 | 3,3 | 3,5 | 1,18 | 1,21 | 1,69 |
| | | **გერმანია. რეგიონალლიგა (სამხრეთი). XXVI ტური** | | | | | | |
| | | **8 აპრილი** | | | | | | |
| 22.00 | 233 | ბაიერნი(მ)-ოფენბახი | 1,7 | 3,4 | 4,2 | 1,13 | 1,21 | 1,87 |
| 22.30 | 234 | ზიგენი-კაიზერსლაუტერნი(მ) | 1,6 | 3,4 | 3,6 | 1,08 | 1,1 | 1,74 |
| | | **იტალია. სერია A. XXIX ტური** | | | | | | |
| | | **10 აპრილი** | | | | | | |
| 18.00 | 036 | ანკონა-ბოლონია | 6,0 | 3,3 | 1,5 | 2,12 | 1,2 | 1,03 |
| 18.00 | 037 | ბრეშა-მოდენა | 1,85 | 2,6 | 5,0 | 1,08 | 1,35 | 1,71 |
| 18.00 | 038 | მილანი-ემპოლი | 1,2 | 5,0 | 10,0 | 1 | 1,07 | 3,33 |
| 18.00 | 039 | პარმა-ლეჩე | 1,65 | 3,1 | 5,3 | 1,07 | 1,25 | 1,95 |
| 18.00 | 040 | რეჯინა-უდინეზე | 2,5 | 2,8 | 2,9 | 1,32 | 1,34 | 1,42 |
| 18.00 | 041 | რომა-კიევო | 1,5 | 3,5 | 6,0 | 1,04 | 1,2 | 2,21 |
| 18.00 | 042 | სიენა-სამპდორია | 2,4 | 2,7 | 3,2 | 1,27 | 1,37 | 1,46 |
| 23.30 | 043 | იუვენტუსი-ლაციო | 2,05 | 3,0 | 3,6 | 1,21 | 1,3 | 1,63 |
| | | **11 აპრილი** | | | | | | |
| 18.00 | 044 | პერუჯა-ინტერი | 3,8 | 3,2 | 1,9 | 1,73 | 1,26 | 1,19 |
| | | **იტალია. სერია B. XXXI ტური** | | | | | | |
| | | **7 აპრილი** | | | | | | |
| 23.30 | 244 | სალერნიტანა-პიაჩენცა | 2,7 | 2,45 | 3,0 | 1,28 | 1,42 | 1,34 |
| | | **ესპანეთი. I დივიზიონი. XXXII ტური** | | | | | | |
| | | **10 აპრილი** | | | | | | |
| 21.00 | 045 | ვალიადოლიდი-ბარსელონა | 3,3 | 3,2 | 2,1 | 1,62 | 1,28 | 1,26 |
| 23.00 | 046 | მალაგა-ატლეტიკო | 2,25 | 3,2 | 3,0 | 1,32 | 1,28 | 1,54 |
| 01.00 | 047 | სელტა-სევილია | 2,15 | 3,2 | 3,2 | 1,28 | 1,28 | 1,6 |
| | | **11 აპრილი** | | | | | | |
| 20.30 | 048 | ესპანიოლი-ალბასეტე | 1,95 | 3,2 | 3,6 | 1,21 | 1,26 | 1,69 |
| 20.30 | 049 | ვილიარეალი-დეპორტივო | 2,7 | 3,1 | 2,45 | 1,44 | 1,28 | 1,36 |
| 20.30 | 050 | ბეტისი-მალიორკა | 1,85 | 3,2 | 4,0 | 1,17 | 1,26 | 1,77 |
| 20.30 | 051 | ოსასუნა-მურსია | 1,35 | 3,8 | 7,0 | 1 | 1,13 | 2,46 |
| 20.30 | 052 | რასინგი-ბილბაო | 2,3 | 3,1 | 3,0 | 1,32 | 1,3 | 1,52 |
| 22.30 | 053 | სარაგოსა-ვალენსია | 3,6 | 3,2 | 1,95 | 1,69 | 1,26 | 1,21 |
| 00.30 | 054 | რეალი-ოსასუნა | 1,35 | 4,0 | 9,0 | 1 | 1,17 | 2,76 |
| | | **საფრანგეთი. I დივიზიონი. XXXII ტური** | | | | | | |
| | | **10 აპრილი** | | | | | | |
| 20.15 | 294 | ლანსი-მონაკო | 2,6 | 3,1 | 2,5 | 1,41 | 1,27 | 1,38 |
| 23.00 | 295 | აიაჩო-მონპელიე | 1,8 | 3,2 | 4,2 | 1,15 | 1,26 | 1,81 |
| 23.00 | 296 | ოსერი-მეცი | 1,55 | 3,5 | 6,0 | 1,07 | 1,23 | 2,21 |
| 23.00 | 297 | ლე მანი-ტულუზი | 2,5 | 3,2 | 2,3 | 1,4 | 1,19 | 1,33 |
| 23.00 | 298 | ნანტი-ბასტია | 1,65 | 3,3 | 5,3 | 1,1 | 1,25 | 2,03 |
| 23.00 | 299 | ნიცა-პსჟ | 2,6 | 3,1 | 2,4 | 1,41 | 1,24 | 1,35 |
| 23.00 | 300 | სოშო-გენგამი | 1,55 | 3,5 | 6,0 | 1,07 | 1,23 | 2,21 |
| | | **11 აპრილი** | | | | | | |
| 23.45 | 301 | სტრასბური-ლიონი | 3,4 | 3,1 | 2,1 | 1,62 | 1,29 | 1,25 |
| | | **ჰოლანდია. I დივიზიონი. XXIX ტური** | | | | | | |
| | | **9 აპრილი** | | | | | | |
| 23.00 | 339 | როდა-ნაიმეგენი | 1,7 | 3,4 | 4,6 | 1,13 | 1,24 | 1,95 |
| | | **10 აპრილი** | | | | | | |
| 22.30 | 340 | დენ ჰააგი-ვალვაიკი | 2,05 | 3,3 | 3,1 | 1,26 | 1,23 | 1,59 |
| 22.30 | 341 | ზვოლე-ალკმაარი | 3,6 | 3,4 | 1,85 | 1,74 | 1,22 | 1,19 |
| 22.30 | 342 | ჰერენვენი-უტრეხტი | 1,5 | 3,6 | 6,0 | 1,05 | 1,2 | 2,25 |
| 22.30 | 343 | ვოლენდამი-ტილბურგი | 2,5 | 3,3 | 2,3 | 1,42 | 1,19 | 1,35 |
| | | **11 აპრილი** | | | | | | |
| 15.30 | 344 | ფეიენოორდი-აიაქსი | 2,5 | 3,2 | 2,5 | 1,4 | 1,25 | 1,4 |
| 17.30 | 345 | პსვ-გრონინგენი | 1,1 | 6,0 | 14,0 | 1 | 1,01 | 4,19 |
| 17.30 | 346 | ვიტესი-ბრედა | 2,2 | 3,3 | 2,7 | 1,32 | 1,21 | 1,48 |
| 17.30 | 347 | როზენდალი-ტვენტე | 1,95 | 3,2 | 3,6 | 1,21 | 1,26 | 1,69 |
| | | **ჰოლანდია. II დივიზიონი. XXXII ტური** | | | | | | |
| | | **7 აპრილი** | | | | | | |
| 23.00 | 350 | ჰელმონდი-ოვლსი | 1,6 | 3,6 | 4,6 | 1,1 | 1,18 | 2,01 |
| | | **8 აპრილი** | | | | | | |
| 23.00 | 351 | სიტარდი-დორდრეხტი | 2,3 | 3,4 | 2,5 | 1,37 | 1,19 | 1,44 |
| | | **9 აპრილი** | | | | | | |
| 23.00 | 352 | დენ ბოსხი-აპელდორნი | 1,25 | 4,0 | 7,5 | 1 | 1,07 | 2,6 |
| 23.00 | 353 | მაასტრიხტი-ეინდჰოვენი | 2,4 | 3,3 | 2,45 | 1,38 | 1,21 | 1,4 |
| 23.00 | 354 | კამბური-ჰერაკლესი | 3,5 | 3,3 | 1,85 | 1,69 | 1,21 | 1,18 |
| 23.00 | 355 | გრაფსხაპი-ტელსტარი | 1,45 | 3,8 | 6,0 | 1,04 | 1,16 | 2,32 |
| 23.00 | 356 | ვეენდამი-ოსი | 2,15 | 3,2 | 3,0 | 1,28 | 1,25 | 1,54 |
| 23.00 | 357 | ჰაარლემი-ვენლო | 2,5 | 3,3 | 3,2 | 1,42 | 1,4 | 1,62 |
| 23.00 | 358 | სპარტა-ემენი | 1,8 | 3,3 | 3,6 | 1,16 | 1,19 | 1,72 |
| | | **ბელგია. I დივიზიონი. XXIX ტური** | | | | | | |
| | | **9 აპრილი** | | | | | | |
| 23.30 | 372 | სტანდარდი-ანდერლეხტი | 2,5 | 3,2 | 2,5 | 1,4 | 1,25 | 1,4 |
| 23.30 | 373 | გენკი-გენტი | 1,6 | 3,4 | 5,3 | 1,08 | 1,22 | 2,07 |
| | | **10 აპრილი** | | | | | | |
| 23.00 | 374 | მონსი-ბევერენი | 2,1 | 3,1 | 3,4 | 1,25 | 1,29 | 1,62 |
| 23.00 | 375 | ბეერსხოტი-ჰეუსდენი | 1,5 | 3,5 | 6,0 | 1,04 | 1,2 | 2,21 |
| 23.00 | 376 | ლიერსი-სტ.ტრუიდენი | 2,05 | 3,0 | 3,6 | 1,21 | 1,3 | 1,63 |
| 23.00 | 377 | ლოკერენი-ლევენი | 1,85 | 3,2 | 4,0 | 1,17 | 1,26 | 1,77 |
| | | **11 აპრილი** | | | | | | |
| 18.00 | 378 | სერკლი-ანტვერპენი | 1,95 | 3,3 | 3,0 | 1,22 | 1,18 | 1,57 |
| 18.00 | 379 | მუსკრონი-ვესტერლო | 1,7 | 3,4 | 4,6 | 1,13 | 1,24 | 1,95 |
| | | **12 აპრილი** | | | | | | |
| 23.00 | 380 | შარლერუა-ბრიუგე | 4,4 | 3,4 | 1,65 | 1,91 | 1,2 | 1,11 |
| | | **ავსტრია. ბუნდესლიგა. XXIX ტური** | | | | | | |
| | | **7 აპრილი** | | | | | | |
| 21.00 | 397 | ადმირა-ავსტრია | 4,2 | 3,3 | 1,75 | 1,84 | 1,23 | 1,14 |
| 21.30 | 398 | ზალცბურგი-კერნტენი | 1,75 | 3,3 | 4,2 | 1,14 | 1,23 | 1,84 |
| 22.30 | 399 | გრაცერი-ბრეგენცი | 1,4 | 3,8 | 7,5 | 1,02 | 1,17 | 2,52 |
| 22.30 | 400 | პაშინგი-შტურმი | 1,75 | 3,3 | 4,2 | 1,14 | 1,23 | 1,84 |
| 22.30 | 401 | რაპიდი-მატერსბურგი | 1,5 | 3,6 | 6,0 | 1,05 | 1,2 | 2,25 |
| | | **შვეიცარია. სუპერლიგა. XXVIII ტური** | | | | | | |
| | | **7 აპრილი** | | | | | | |
| 22.30 | 413 | იანგ ბოიზი-გრასჰოპერი | 1,75 | 3,3 | 4,2 | 1,14 | 1,23 | 1,84 |
| | | **8 აპრილი** | | | | | | |
| 22.30 | 414 | აარაუ-ქსამაქსი | 1,8 | 3,3 | 3,8 | 1,16 | 1,22 | 1,76 |
| 22.30 | 415 | ბაზელი-სერვეტი | 1,45 | 3,6 | 6,5 | 1,03 | 1,18 | 2,31 |
| 22.30 | 416 | ვილი-სტ.გალენი | 2,2 | 3,2 | 3,0 | 1,3 | 1,26 | 1,54 |
| 22.30 | 417 | ციურიხი-თუნი | 1,65 | 3,4 | 4,8 | 1,11 | 1,22 | 1,99 |
| | | **შვეიცარია. ჩელენჯლიგა. XXV ტური** | | | | | | |
| | | **7 აპრილი** | | | | | | |
| 22.30 | 420 | კონკორდია-სიონი | 2,35 | 3,2 | 2,6 | 1,35 | 1,23 | 1,43 |
| 22.30 | 421 | დელემონი-კიასო | 3,5 | 3,2 | 1,9 | 1,67 | 1,23 | 1,19 |
| | | **8 აპრილი** | | | | | | |
| 22.30 | 422 | კრიენსი-ბულე | 1,45 | 3,8 | 5,6 | 1,04 | 1,15 | 2,26 |
| 22.30 | 423 | ანიო-ბადენი | 1,45 | 3,8 | 5,6 | 1,04 | 1,15 | 2,26 |
| 22.30 | 424 | მერინი-ბელინცონა | 2,25 | 3,1 | 2,8 | 1,3 | 1,24 | 1,47 |
| 22.30 | 425 | ვინტერთური-ვადუცი | 4,0 | 3,3 | 1,75 | 1,8 | 1,21 | 1,14 |
| 22.30 | 426 | ვოლენი-ლუცერნი | 2,15 | 3,2 | 3,0 | 1,28 | 1,25 | 1,54 |
| 22.30 | 427 | ივერდონი-შო დე ფონი | 1,5 | 3,6 | 4,4 | 1,05 | 1,11 | 1,98 |
| | | **ნორვეგია. ტიპელიგა. I ტური** | | | | | | |
| | | **12 აპრილი** | | | | | | |
| 21.00 | 458 | ოდ გრენლანდი-სტაბეკი | 2,1 | 3,3 | 3,1 | 1,28 | 1,25 | 1,59 |
| 21.00 | 459 | ტრომსიო-ვიკინგი | 2,5 | 3,2 | 2,5 | 1,4 | 1,25 | 1,4 |
| 21.00 | 460 | სოგნდალი-ჰამარი | 1,7 | 3,4 | 4,4 | 1,13 | 1,22 | 1,91 |
| 21.00 | 461 | ლილესტრიომი-ფრედრიკსტადი | 1,6 | 3,6 | 4,8 | 1,1 | 1,2 | 2,05 |
| 21.00 | 462 | მოლდე-ლინი | 2,05 | 3,3 | 3,2 | 1,26 | 1,24 | 1,62 |
| 23.15 | 463 | როზენბორგი-ბრანი | 1,3 | 4,6 | 8,0 | 1,01 | 1,11 | 2,92 |

**შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

**რუსეთი. პრემიერლიგა. V ტური**

7 აპრილი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 16.00 | 503 | ალანია-სატურნი | 2,45 | 2,8 | 2,9 | 1,3 | 1,32 | 1,42 |
| 16.00 | 504 | დინამო-ტორპედო | 2,25 | 2,8 | 3,3 | 1,24 | 1,33 | 1,51 |
| 16.00 | 505 | კრილია-ამკარი | 1,6 | 3,3 | 5,0 | 1,07 | 1,21 | 1,98 |
| 16.00 | 506 | კუბანი-როტორი | 1,85 | 2,9 | 4,4 | 1,12 | 1,3 | 1,74 |
| 16.00 | 507 | ლოკომოტივი-მოსკოვი | 1,5 | 3,5 | 6,5 | 1,04 | 1,21 | 2,27 |
| 16.00 | 508 | როსტოვი-ცსკა | 5,0 | 3,3 | 1,6 | 1,98 | 1,21 | 1,07 |
| 16.00 | 509 | სპარტაკი-შინიკი | 1,5 | 3,5 | 6,0 | 1,04 | 1,2 | 2,21 |
| 16.00 | 510 | ზენიტი-რუბინი | 1,5 | 3,5 | 6,0 | 1,04 | 1,2 | 2,21 |

**პოლონეთი. I ლიგა. XVIII ტური**

8 აპრილი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22.00 | 578 | ლეგია-პოლკოვიცე | 1,15 | 5,0 | 9,0 | 1 | 1,01 | 3,21 |

**უნგრეთი. NB1. XXII ტური**

7 აპრილი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21.00 | 588 | ჰალადაში-ფერენცვაროში | 4,8 | 3,3 | 1,6 | 1,95 | 1,2 | 1,07 |
| 21.00 | 589 | მტკ-უიპეშტი | 1,7 | 3,2 | 4,6 | 1,11 | 1,24 | 1,88 |
| 21.00 | 590 | ეტო-დებრეცენი | 2,7 | 3,0 | 2,4 | 1,42 | 1,27 | 1,33 |

**ავსტრია. თასი. 1/8 ფინალი**

10 აპრილი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18.30 | 659 | კერნტენი-ზალცბურგი | 2,25 | 3,2 | 2,8 | 1,32 | 1,24 | 1,49 |
| 18.30 | 660 | შტურმი-ბრეგენცი | 2,15 | 3,2 | 3,0 | 1,28 | 1,25 | 1,54 |
| 18.30 | 661 | მატერსბურგი-ავსტრია | 3,5 | 3,3 | 1,9 | 1,69 | 1,23 | 1,2 |

**შვეიცარია. თასი. ფინალი**

12 აპრილი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 662 | გრასჰოპერი-ვილი | 1,75 | 3,3 | 4,2 | 1,14 | 1,23 | 1,84 |

**დანია. თასი. 1/4 ფინალი**

8 აპრილი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 663 | ოლბორგი-ვიბორგი | 1,7 | 3,4 | 4,4 | 1,13 | 1,22 | 1,91 |
| 18.00 | 664 | ჰორსენსი-ოდენსე | 4,6 | 3,5 | 1,65 | 1,98 | 1,21 | 1,12 |
| 18.00 | 665 | ნიკობინგი-ბრიონდბიუ | 8,0 | 4,6 | 1,3 | 2.92 | 1,11 | 1,01 |

**საბერძნეთი. თასი. 1/2 ფინალი. II მატჩები**

7 აპრილი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22.00 | 667 | აეკ-პანათინაიკოსი | 2,3 | 3,0 | 2,8 | 1,3 | 1,26 | 1,44 |

**ხორვატია. თასი. 1/2 ფინალი. I მატჩები**

7 აპრილი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21.00 | 669 | დინამო-რიეკა | 1,35 | 4,0 | 7,0 | 1 | 1,13 | 2,54 |

**პოლონეთი. თასი. 1/2 ფინალი. I მატჩები**

7 აპრილი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19.30 | 670 | კატოვიცე-ლეხი | 1,9 | 3,1 | 3,4 | 1,17 | 1,21 | 1,62 |

**ჩემპიონთა ლიგა. 1/4 ფინალი. II მატჩები**

7 აპრილი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23.45 | 004 | დეპორტივო-მილანი | 2,25 | 3,2 | 3,0 | 1,32 | 1,28 | 1,54 |
| 23.45 | 005 | ლიონი-პორტუ | 1,95 | 3,2 | 3,6 | 1,21 | 1,26 | 1,69 |

**უეფას თასი. 1/4 ფინალი. I მატჩები**

8 აპრილი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22.15 | 006 | ბორდო-ვალენსია | 2,7 | 3,1 | 2,45 | 1,44 | 1,28 | 1,36 |
| 23.45 | 007 | პსვ-ნიუკასლი | 2,25 | 3,2 | 3,0 | 1,32 | 1,28 | 1,54 |
| 24.00 | 008 | მარსელი-ინტერი | 2,5 | 3,0 | 2,7 | 1,36 | 1,29 | 1,42 |
| 24.00 | 009 | სელტიკი-ვილიარეალი | 1,75 | 3,2 | 4,6 | 1,13 | 1,26 | 1,88 |

**ლიბერტადორესის თასი**

7 აპრილი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 01.15 | 674 | ბოლივარი-დეპორტივო | 1,85 | 3,2 | 3,6 | 1,17 | 1,22 | 1,69 |
| 03.30 | 675 | ლიბერტადი-რივერ პლეიტი | 2,5 | 3,2 | 2,0 | 1,4 | 1,11 | 1,23 |
| 05.45 | 676 | უნივერსიტარია-კობრელოა | 1,1 | 5,0 | 10,0 | 1 | 1 | 3,33 |
| 05.45 | 677 | სან პაულუ-ალიანსა | 1,4 | 3,8 | 7,0 | 1,02 | 1,16 | 2,46 |

8 აპრილი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 03.00 | 678 | ტაჩირა-ტოლიმა | 1,7 | 3,3 | 4,4 | 1,12 | 1,22 | 1,88 |
| 04.15 | 679 | კოლო კოლო-ბოკა ხუნიორსი | 3,3 | 3,2 | 1,95 | 1,62 | 1,22 | 1,21 |
| 05.15 | 680 | სან კაეტანო-პენიაროლი | 1,5 | 3,5 | 6,0 | 1,04 | 1,2 | 2,21 |
| 07.30 | 681 | ამერიკა-სტრონგესტი | 1,35 | 4,0 | 7,5 | 1 | 1,14 | 2,6 |

**შემდეგ ეტაპზე გასვლა**

7 აპრილი

| | | | 1 | X |
|---|---|---|---|---|
| 23.45 | 7004 | დეპორტივო-მილანი | 10,0 | 1,01 |
| 23.45 | 7005 | ლიონი-პორტუ | 4,6 | 1,1 |

**უეფას თასი. 1/4 ფინალი. I მატჩები**

8 აპრილი

| | | | 1 | X |
|---|---|---|---|---|
| 22.15 | 7006 | ბორდო-ვალენსია | 2,8 | 1,3 |
| 23.45 | 7007 | პსვ-ნიუკასლი | 2,0 | 1,5 |
| 24.00 | 7008 | მარსელი-ინტერი | 2,3 | 1,4 |
| 24.00 | 7009 | სელტიკი-ვილიარეალი | 1,5 | 2,0 |

**ჰოკეი. გერმანია**

8 აპრილი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22.30 | 1031 | აისბარენი-ფრანკფურტი | 1,5 | 4,6 | 4,0 | 1,13 | 1.09 | 2.13 |

**კალათბურთი. ევროლიგა**

7 აპრილი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23.10 | 1235 | ეფესი-ოლიმპია | 1.05 | 10,0 | 4,4 | 1 | 1 | 3,05 |
| 23.10 | 1236 | პო ორტეზი-სკიპერი | 3.0 | 10,0 | 1,22 | 2,3 | 1 | 1,08 |

8 აპრილი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23.10 | 1239 | ბენეტონი-ბარსელონა | 1.25 | 10,0 | 3,0 | 1,11 | 1 | 2,3 |
| 23.10 | 1240 | პანათინაიკოსი-სიენა | 2,0 | 10,0 | 1,5 | 1,66 | 1 | 1,3 |
| 23.10 | 1241 | მაკაბი-ჟალგირისი | 1,18 | 10,0 | 3,5 | 1,05 | 1 | 2,59 |

## რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 5504 | დეპორტივო-მილანი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5505 | ლიონი-პორტუ | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5506 | ბორდო-ვალენსია | 3,0 | 2.8 | 2,0 |
| 5507 | პსვ-ნიუკასლი | 3,0 | 2.8 | 2,0 |
| 5508 | მარსელი-ინტერი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5509 | სელტიკი-ვილიარეალი | 3,0 | 2.8 | 2,0 |

## გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | | კი | არა |
|---|---|---|---|
| 5304 | დეპორტივო-მილანი | 1,65 | 1,95 |
| 5305 | ლიონი-პორტუ | 1,65 | 1,95 |
| 5306 | ბორდო-ვალენსია | 1,65 | 1,95 |
| 5307 | პსვ-ნიუკასლი | 1,65 | 1,95 |
| 5308 | მარსელი-ინტერი | 1,65 | 1,95 |
| 5309 | სელტიკი-ვილიარეალი | 1,65 | 1,95 |

## რამდენი გოლი გავა მატჩში. (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | | |
|---|---|---|---|
| 5204 | დეპორტივო-მილანი | 1,7 | 1,9 |
| 5205 | ლიონი-პორტუ | 1,6 | 2,0 |
| 5206 | ბორდო-ვალენსია | 1,55 | 2,1 |
| 5207 | პსვ-ნიუკასლი | 1,75 | 1,85 |
| 5208 | მარსელი-ინტერი | 1,6 | 2,0 |
| 5209 | სელტიკი-ვილიარეალი | 1,7 | 1,9 |

## რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

| | | | |
|---|---|---|---|
| 5404 | დეპორტივო-მილანი | 1,8 | 2,0 |
| 5405 | ლიონი-პორტუ | 1,7 | 2.2 |
| 5406 | ბორდო-ვალენსია | 1,95 | 1,85 |
| 5407 | პსვ-ნიუკასლი | 1.85 | 1,95 |
| 5408 | მარსელი-ინტერი | 1,85 | 1,95 |
| 5409 | სელტიკი-ვილიარეალი | 1,5 | 2.6 |

## I ტაიმის შედეგი

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 5004 | დეპორტივო-მილანი | 2,7 | 2,05 | 3.6 | 1,16 | 1,54 | 1,3 |
| 5005 | ლიონი-პორტუ | 2,35 | 2,05 | 4.4 | 1,09 | 1,53 | 1,39 |
| 5006 | ბორდო-ვალენსია | 3,4 | 2,05 | 2,9 | 1,27 | 1,56 | 1,2 |
| 5007 | პსვ-ნიუკასლი | 2,7 | 2,05 | 3.6 | 1,16 | 1,54 | 1,3 |
| 5008 | მარსელი-ინტერი | 3,1 | 2,05 | 3,2 | 1,23 | 1,57 | 1,24 |
| 5009 | სელტიკი-ვილიარეალი | 2,2 | 2,1 | 5,0 | 1,07 | 1,52 | 1,47 |

| 1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 5104 | დეპორტივო-მილანი | 3,4 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 5,0 | 20,0 | 10,0 | 4,6 |
| 5105 | ლიონი-პორტუ | 2,9 | 10,0 | 20,0 | 3,8 | 4,4 | 6,0 | 20,0 | 10,0 | 5,6 |
| 5106 | ბორდო-ვალენსია | 4,0 | 10,0 | 20,0 | 4,8 | 4,4 | 4,4 | 20,0 | 10,0 | 3,6 |
| 5107 | პსვ-ნიუკასლი | 3,4 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 5,0 | 20,0 | 10,0 | 4,4 |
| 5108 | მარსელი-ინტერი | 3,8 | 10,0 | 20,0 | 4,6 | 4,4 | 4,8 | 20,0 | 10,0 | 4,0 |
| 5109 | სელტიკი-ვილიარეალი | 2,5 | 10,0 | 20,0 | 3,5 | 4,4 | 8,0 | 20,0 | 10,0 | 7,0 |

# ჩემპიონები და თასის აღება

**9004**

**ესპანეთი (10.04)**

| | |
|---|---|
| რეალი | 1,35 |
| ვალენსია | 2,5 |
| ბარსელონა | 15,0 |
| დეპორტივო | 40,0 |

**9005**

**საფრანგეთი (10.04)**

| | |
|---|---|
| მონაკო | 1,7 |
| ლიონი | 1,7 |
| პსჟ | 5,0 |

**9008**

**ავსტრია (07.04)**

| | |
|---|---|
| აუსტრია | 1,3 |
| გრაცერი | 2,8 |
| რაპიდი | 20,0 |

**9009**

**დანია (11.04)**

| | |
|---|---|
| ბრიონდბიუ | 2,3 |
| კოპენჰაგენი | 2,3 |
| ესბიერგი | 2,5 |

**9010**

**საბერძნეთი (17.04)**

| | |
|---|---|
| პანათინაიკოსი | 1,5 |
| ოლიმპიაკოსი | 1,9 |

**9011**

**უკრაინა (10.04)**

| | |
|---|---|
| შახტარი | 1,6 |
| დინამო | 1,6 |

**9021**

**ჩემპიონთა თასი (06.04)**

**რომელი ქვეყნის გუნდი აიღებს თასს**

| | |
|---|---|
| ინგლისი | 2,15 |
| იტალია | 2,5 |
| ესპანეთი | 2,7 |
| პორტუგალია | 7,0 |
| საფრანგეთი | 17,0 |

**9021**

**ჩემპიონთა თასი (06.04)**

| | |
|---|---|
| მილანი | 2,5 |
| რეალი | 3,0 |
| არსენალი | 3,0 |
| პორტუ | 7,0 |
| ჩელსი | 8,0 |
| ლიონი | 30,0 |
| დეპორტივო | 40,0 |
| მონაკო | 40,0 |

**9024**

**უეფას თასი (08.04)**

| | |
|---|---|
| ვალენსია | 3,3 |
| ინტერი | 4,0 |
| ნიუკასლი | 4,0 |
| სელტიკი | 5,0 |
| მარსელი | 8,0 |
| პსვ | 8,0 |
| ბორდო | 12,0 |
| ვილიარეალი | 12,0 |

**9031**

**NHL (07.04)**

| | |
|---|---|
| კოლორადო | 3,5 |
| დეტროიტი | 4,0 |
| ფილადელფია | 5,0 |
| ტორონტო | 6,0 |
| ნიუ ჯერსი | 7,0 |
| ოტავა | 7,0 |
| ტამპა ბეი | 6,0 |
| ვანკუვერი | 10,0 |
| დალასი | 10,0 |
| სან ხოსე | 8,0 |
| ბოსტონი | 9,0 |
| კალგარი | 30,0 |
| მონრეალი | 25,0 |
| სტ.ლუისი | 30,0 |
| აილენდერსი | 50,0 |
| ნეშვილი | 50,0 |

**9032**

**NBA (15.04)**

| | |
|---|---|
| ლეიკერსი | 2,0 |
| საკრამენტო | 3,2 |
| სან ანტონიო | 5,0 |
| მინესოტა | 6,0 |
| ინდიანა | 7,0 |
| დეტროიტი | 10,0 |
| დალასი | 12,0 |
| ნიუ ჯერსი | 12,0 |
| ნიუ ორლეანი | 30,0 |
| მემფისი | 40,0 |
| ჰიუსტონი | 50,0 |
| ნიუ იორკი | 75,0 |
| დენვერი | 75,0 |
| მილუოკი | 75,0 |
| ფილადელფია | 100,0 |
| ბოსტონი | 100,0 |
| ტორონტო | 100,0 |
| პორტლენდი | 100,0 |
| მაიამი | 100,0 |
| კლივლენდი | 100,0 |
| იუტა | 100,0 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბიჭი, რომელიც შენიშნეს
## ტატოს ლიტვური ედემი

*სამი წლის წინათ ლიტვაში, შარუნას მარჩულიონისის აკადემიაში რიგითად წასულმა ნიკოლოზ ვაშაკიძემ ბეჯითად იშრომა, ევროპის ამ ციცქნა საკალათბურთო „ედემში" ბევრი რამ შეითვისა და მისი მონდომებაც შეუმჩნეველი არ დარჩენილა ბალტიელთათვის. შარშან ამ დროს ტატო (ყველა ასე ეძახის) ლიტველთა მომავალი ევროპის ჩემპიონი ნაკრების მწვრთნელმა ანტანას სირეიკამ შენიშნა, თავისთან „შაულიაიში" უხმო და კონტრაქტიც გაუფორმა. 19 წლის ვაშაკიძეს ლიტვის მოწინავე გუნდში ფეხი ჯერ ჯეროვნად ვერ მოუკიდებია, მაგრამ ლიტველთა ჩამქრალი ვარსკვლავები კლუბს რომ დატოვებენ, ბურთიც და მოედანიც ქართველს დარჩება...*



ნიკოლოზ ვაშაკიძემ ბედი ლიტვაში იპოვა

— საქართველოდან კარგა ხნის წინათ წახვედი, ახლა კი შევიტყვეთ, რომ ლიტვის ერთ-ერთ ძლიერ გუნდში ხარ. როგორ აღმოჩნდი „შაულიაიში" და რა გუნდია იგი?

— შარუნას მარჩულიონისის აკადემიაში სამი წელი ვივარჯიშე და მის გუნდში ლიტვის ახალგაზრდულ, 1985-წლიანების ჩემპიონატში ვთამაშობდი. ზუსტად ერთი წლის წინ ჩვენი აკადემიის გუნდი „შაულიაის" ახალგაზრდებს ხვდებოდა და იმ მატჩში 20 წუთში 25 ქულა მოვაგროვე. მეტოქე გუნდის მწვრთნელებმაც მაშინ დამადგეს თვალი და მალე თავისთან მიმიწვიეს.

— ახალგაზრდულ გუნდში იყავი თავიდან?

— არა, პირდაპირ ძირითად გუნდთან გავაფორმე კონტრაქტი. ყველაფერი პროფესიულ დონეზე მოხდა — ბინა, მანქანა... კლუბმა ხელფასიც დამინიშნა. „შაულიაი" ძალიან სერიოზული და ძლიერი გუნდია, ეგაა, „ჟალგირისისა" და „ლიეტუვოს რიტასის" ჩრდილშია აგერ უკვე ათი წელია. „ჟალგირისთან" გაჯიბრება ევროპის გრანდებს უჭირთ, კაუნასური გუნდი ხომ ლიტვის სიამაყე და თილისმაა. შარშან ორივე მათგანს მოვუგეთ რეგულარულ ჩემპიონატში. „ჟალგირისს" წლეულსაც ვაჯობეთ, მაგრამ სამდივნომ წაგვაგებინა.

— შენ რა როლი გაკისრია გუნდში, ხშირად თუ თამაშობ?

— არა, გამთამაშებლის პოზიციაზე „შაულიაის" ვეტერანი და ამ გუნდის სიმბოლო რობერტას გედრაიტისი თამაშობს. კიდევ მყავს ერთი-ორი სერიოზული და, რაც მთავარია, გამოცდილი კონკურენტი. ამიტომაც ძალიან იშვიათად მიწევს მოედანზე ყოფნა. აქ და საერთოდ ლიტვაშიც ასეთი პოლიტიკაა, ახალგაზრდა, როგორი კარგიც უნდა იყოს, უმეტესად სკამზე ზის და მოედანზე ადგილს გამოცდილ ხალხს უთმობს.

— ახალგაზრდას თუ პრაქტიკა არ მიეცი, მგონი, არც ეს ივარგებს...

— ნელ-ნელა მაჩვევენ მოედანს, სკოლიდან ახლახან მოსულს ასე უცებ არავინ მათამაშებს 30-40 წუთს. აქ არავინაა ისეთი, საკალათბურთო სკოლიდან გამოსულს ეგრევე უმაღლესი ლიგის გუნდის ძირითადში ეთამაშოს.

— „შაულიაის" ახალგაზრდული გუნდი ხომ ჰყავს, იქ არ გათამაშებენ?

— ჰყავს და ლიტვის ახალგაზრდული ჩემპიონატიც უკვე დასრულდა. მე მხოლოდ ოთხთა ფინალში დავეხმარე ჩვენს დუბლიორებს. ფინალი „ჟალგირისთან" წავაგეთ, მე კი ოთხთა ფინალის უძვირფასეს მოთამაშედ დამასახელეს.

— შენი ალბათ დიდად ეიმედებათ შაულიაელებს...

— ჰო, აქ ყველა მეუბნება, მომავალი შენია, ეს თაობა რომ წავა, ჩვენი გუნდის გამოზრდილებმა უნდა იყოჩაღოთო. გედრაიტისი ამ სეზონის შემდეგ ალბათ კარიერას დაასრულებს და მერე მეტი შანსი მომეცემა.

— მწვრთნელი ალბათ კარგი თვალით გიყურებს, მისი გადაყვანილი არ ხარ მარჩიულონისის აკადემიიდან?

— ჰო, მაგრამ ის მწვრთნელი ამ სეზონის წინ „ჟალგირისში" გადავიდა, თუმცა არც ახალი მთავარი მწვრთნელი რამუნას ბუტაუტასი არის ჩემს მიმართ გულგრილი. არადა, წასულმა მწვრთნელმა ანტანას სირეიკამ გასულ ზაფხულს ლიტვის ნაკრები ჩემპიონი გახადა. ის დიდებული მწვრთნელია და მე ძალიან მიხარია, მისი მოწონება და კეთილგანწყობა რომ დავიმსახურე. სირეიკა მანამდე 10 წელიწადს მუშაობდა „შაულიაიში". ის თითქმის ყოველ კვირას მოდის ჩვენთან და მისგან ახლაც ძალიან დიდ მხარდაჭერას ვგრძნობ.

— ბუტაუტასი მანამდე თუ გიცნობდა, სანამ „შაულიაიში" მოვიდოდა?

— კი, მიცნობდა, ის ლიტვის კადეტების მწვრთნელი იყო მაშინ, როცა ჩვენი და მათი ნაკრებები ერთად ვთამაშობდით სამი წლის წინანდელ ევროპის ჩემპიონატზე. ბუტაუტასს კარგად ვახსოვარ, იმ ტურნირზე ცუდად არ მითამაშია.

— მარჩულიონისის აკადემიაში როგორღა მოხვდი?

— ამაში მურმან ქურიძე დამეხმარა, თუმც ჩემს მწვრთნელებს მიხეილ კობეშავიძესა და მერაბ ცირეკიძესაც დიდი წვლილი მიუძღვით ჩემს ლიტვაში წასვლაში. კადეტთა ნაკრებში სისტემატურად მათამაშებდნენ და ევროპის ჩემპიონატის ერთ-ერთ ეტაპზე ბულგარეთში რომ ვიყოჩაღე, ლიტველებიც მაშინ დავაინტერესე.

— საქართველოს ეროვნული ნაკრების მწვრთნელი თუ გიკავშირდება?

— უშუალოდ დრაჟენ ბრაიკოვიჩი არა, მაგრამ მისი თანაშემწე ზურაბ ტომარაძე ხშირად კითხულობს ჩემს ამბებს, ეროვნული ნაკრების კანდიდატად განიხილებიო, მეუბნება.

**ირაკლი პერტაია**

## წამოდექით, თქვენო უდიდებულესობავ
# სტუდენტები მოდიან

**წესით,** 5 აპრილს მის უდიდებულესობა ნბა-ს უნდა დაესვენა და ამ დღისთვის თამაშები არ დაეგეგმა, მაგრამ, ჩანს, „იუტა" — „მემფისის" გადადება არ მოხერხდება.

„იუტამ" 92:81 დაამარცხა „მემფისი" და საპლეიოფო საგზურისთვის დავაში კონკურენტებზე წინ წაიწია. თამაშიც არ გამოვიდა ურიგო, თუმც ფართო საზოგადოების ყურადღება ვერ მიიპყრო სოლტლეიკსიტელთა და ნაწილობრივ მემფისელთა გარდა, რაკი ეს დღე საკალათბურთო ამერიკაში ნბა-ს არ ეკუთნოდა.





REUTERS-ის ფოტო

კონექტიკუტელი ტელიკ ბრაუნი: ჩვენ ჩემპიონები ვართ!

შვიდნახევარი თვის განმავლობაში ფეთიანად მსრბოლ ნბა-ს ორჯერ აქვს ჩამუხვლის და ამოსუნთქვის საშუალება. ერთხელ შუა თებერვალში, „ყველა ვარსკვლავის" უქმეებზე და მეორედ აპრილის დასაწყისში სტუდენტური ჩემპიონატის ფინალის დღეს.

ამერიკას ყოველთვის სადღაც ეჩქარებოდა და ბოლო წლებში ნბა ალბათ ყველაზე მეტად აჩქარდა. ბედისგან მაღალი და მოქნილი ტანბეჭით დაჯილდოებულ ზანგ ბიჭბუჭებს ნბა-ში ეჩქარებათ. ნბს-ს გუნდები კი მათ უკვე სკოლის მერხიდან აყვანაზე ჩქარობენ. ჰოდა, გადაივსო ნბა 19-20 წლის ბავშვებით და ამიტომაცაა იქ მოხვედრილ ჯეელობას ზოგს 4-5 წელი სჭირდება ნამდვილი კალათბურთის სასწავლებლად. ეს ხალხი, ნბა-ს თამაშებს სათადარიგოთა სკამებიდან რომ უყურებს, წესით, ამ ასაკში სტუდენტურ გუნდებში უნდა ბდღვნიდნენ ყველაფერს და ნბა-შიც ჩამოყალიბებულ მოთამაშეებად მოდიოდნენ. სხვათა შორის, სტუდენტურ ლიგას მაინცდამაინც ბევრი არ აკლდება — თუნდაც წლევანდელ ოთხთა ფინალს სან ანტონიოში ნბა-სგან მივიწყებულ „ალამოდოუმში" 44 ათასი კაცი დაესწრო.

მაგრამ სტუდენტური ლიგისა (NCAA) და ნბა-ს ურთიერთობა ცალკე თემაა და დროა, წლევანდელ ოთხთა ფინალს მივუბრუნდეთ. როგორც ყველა სხვა, ამ სეზონსაც რამდენიმე გამორჩეული გუნდი ჰყავდა, მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ მჩქეფარე სტუდენტურ თამაშებში პროგნოზის გაკეთება თამამი და თითქმის თავხედური ნაბიჯია, მაინც ბევრი წინასწარ ასახელებდა ჩემპიონს. კონექტიკუტის უნივერსიტეტი თავიდანვე ფავორიტი იყო და ჩემპიონის ტიტულიც მას დარჩა. იანვარში ჩრდილოეთ კაროლინასთან 83:86 წაგების მიუხედავადაც არავინ შეხებია „კონექტიკუტ ჰასკიზის" ფავორიტის სტატუსს. მომავალ ჩემპიონებს არც ოთხთა ფინალში დაუეჭვებიათ ვინმე, ნახევარფინალში ისტორიული „მოსისხლე" და რამდენიმეგზის ჩემპიონი დიუკი ჩამოიშორეს და ფინალში უფრო იოლად — 82:73 მოუგეს ჯორჯიის ტექნიკურ უნივერსიტეტს.

ფინალს დაძაბულობა აკლდა, რაკი კონექტიკუტმა ცალფარა თამაში გააჩაღა და ყველაფერში დაჩაგრა მეტოქე. მომავალმა ნბა-ელებმა ემეკა ოკაფორმა (24 ქულა, 15 მოხსნა), ბენ გორდონმა (21) და ამათზე არანაკლებ ყოჩაღმა ჯეელებმა ისე დაიწყეს, ხალხმა იფიქრა ფინალებში სარეკორდო სხვაობას დააფიქსირებენო — კონექტიკუტმა ტაიმი 41:26 მოიგო და მეორეშიც ერთი ხანობა 61:35 დაწინაურდა, მაგრამ რეკორდი არ გამოცხვა. 211-სანტიმეტრიან ოკაფორს და სხვა მაღალ კონექტიკუტელებს მობეზრდათ ფრენბურთის თამაში და მეტოქის გაპამპულავება, თვითონ ჯორჯიელებიც გამოფხიზლდნენ და თამაშიც თითქმის საინტერესოდ დასრულდა.





REUTERS-ის ფოტო

კონექტიკუტის ლიდერი ემეკა ოკაფორი მალე ნბა-ს ფარებს გაუშინაურდება

მაგრამ ფინალი მაინც ვერ გამოდგა ისეთი, 44 ათასი მაყურებელი რომ ისურვებდა. ხალხი ჯორჯიაზე იყო გულმოსული. ამ შედარებით მჭლე გუნდთან ნახევარფინალში დამარცხებული ოკლაჰომელები დაბოღმილები ამბობდნენ, ფინალში ამათზე ღირსეულად წაგებას მაინც მოვახერხებდითო.

ასე თუ ისე, სეზონის საუკეთესო გუნდი დამსახურებულად გახდა ჩემპიონი, მომავალი წლიდან კი კონექტიკუტის მწვრთნელ ჯიმ კოლჰაუნს თავიდან მოუწევს გუნდის შენების დაწყება. როგორც ყოველთვის, ალბათ ეს კარგი კრებულიც დაიშლება. ლიდერები ნბა-ში წავლენ, სხვები, შესაძლოა, ევროპაში. ემეკა ოკაფორი წლეულს დრაფტზე თუ დადგა — და უეჭველად დადგება — მასზე ტაციაობას გააჩაღებენ, კარგი ცენტრი ხომ ნბა-ში ყველა გუნდს აკლია ოთხიხუთის გარდა.

**ირაკლი ფირაშვილი**

*გუშინ კალათბურთის დიდების დარბაზმა ახალი ექვსი წევრი დაასახელა. ისინი 10 სექტემბერს პომპეზურობით და ტაშის გრიალით შეაბიჯებენ კალათბურთის მშობლიური ქალაქის, კონექტიკუტის სპრინგფილდში ორიოდ წლის წინ აშენებულ მოდერნისტულ დარბაზში*

# როცა მოკვდები, დაგაფასებენ



კლაიდ დრექსლერი

დარბაზი ტრადიციულად ყოველ წელს ექვს ახალ წევრს ირჩევს. 2004 წლის შენამატია 80-90-იანი წლების ლეგენდარული მოთამაშე კლაიდ დრექსლერი, „ფინიქ სანზის“ ღვაწლმოსილი მწვრთნელი ჯერი კოლანჯელო, 60-იანი წლების მრგვინავი „ბოსტონ სელტიქსის“ წევრი ბილ შარმენი (შარმენს უკვე მეორედ ირჩევენ დიდების დარბაზში, ამჯერად მწვრთნელის სტატუსით), 50-იანი წლების აწ განსვენებული მოთამაშე მორის სტოქსი, ცნობილი იუგოსლაველი გამთამაშებელი დრაჟენ დალიპაგიჩი და ქალთა კალათბურთის ვარსკვლავი ლინეტ ვუდარდი.

ამ დიდი ხალხიდან ჩვენში ყველაზე უკეთ ალბათ კლაიდ დრექსლერს იცნობენ. ამ ჩაუქმა ფორვარდმა 1990 და 1992 წლებში „პორტლენდი“ ნბა-ს ფინალში გაიყვანა, 1995 წელს კი „ჰიუსტონს“ ჰაკიმ ოლაჯუონთან ერთად ჩემპიონობა მოაპოვებინა. კალათბურთის სტაჟიანი ქომაგები 70-იან და 80-იან წლებში საბჭოთა ნაკრებთან მეომარ იუგოსლაველ დრაჟენ დალიპაგიჩსაც გაიხსენებენ.

აი, ბედშავი მორის სტოქსი კი ამერიკაშიც მივიწყებული სახელია. ამ ნიჭიერმა ბიჭმა ნბა-ში მხოლოდ სამი სეზონი ითამაშა და ფაქტობრივად მოედანზე დაასრულა სიცოცხლე. 1955 წელს ის „როჩესტერ როიალზმა“ აირჩია დრაფტში და სტოქსი იმ სეზონის საუკეთესო ახალბედაც გახდა. მისი წყალობით „როჩესტერი“ სულ ლიდერებში ტრიალებდა, მაგრამ 1958 წლის ერთ დღეს ყველაფერი ტრაგიკულად დასრულდა. რეგულარული ჩემპიონატის ერთ-ერთ ბოლო თამაშში სტოქსი ბურთის მოსახსნელად ახტა, ცუდად დაეცა და ფიცარნაგს კეფა დაარტყა. იგი გონს ველარ მოეგო, 12 წელიწადს იყო კომაში და 1970 წელს 36 წლისა გარდაიცვალა.

**კოტე ყორშია**

## NBA რეგულარული ჩემპიონატი

5 აპრილი

**იუტა 92:81 მემფისი**

იუტა: გირიჩეკი (25), კირილენკო (17 ქულა, 11 მოხსნა), აროიო (14)
მემფისი: პოუზი (18), რაიტი (16), ბეტიე (13), უოტსონი (11 ქულა, 12 პასი)

| აღმოსავლეთი | | | |
|---|---|---|---|
| **ატლანტიკა** | | | |
| ნიუ ჯერსი | 45 | 31 | 59,2 |
| მაიამი | 38 | 39 | 49,4 |
| ნიუ იორკი | 36 | 41 | 46,8 |
| ბოსტონი | 35 | 42 | 45,5 |
| ფილადელფია | 32 | 45 | 41,6 |
| ვაშინგტონი | 24 | 53 | 31,2 |
| ორლანდო | 19 | 58 | 24,7 |
| **ცენტრალური** | | | |
| ინდიანა | 56 | 21 | 72,7 |
| დეტროიტი | 50 | 27 | 64,9 |
| მილუოკი | 39 | 38 | 50,6 |
| ნიუ ორლეანი | 38 | 39 | 49,4 |
| კლივლენდი | 32 | 44 | 42,1 |
| ტორონტო | 30 | 46 | 39,5 |
| ატლანტა | 25 | 52 | 32,5 |
| ჩიკაგო | 22 | 55 | 28,6 |

| დასავლეთი | | | |
|---|---|---|---|
| **შუა-დასავლეთი** | | | |
| მინესოტა | 54 | 24 | 69,2 |
| სან ანტონიო | 52 | 25 | 67,5 |
| მემფისი | 49 | 28 | 63,6 |
| დალასი | 48 | 28 | 63,2 |
| ჰიუსტონი | 42 | 34 | 55,3 |
| იუტა | 41 | 37 | 52,6 |
| დენვერი | 40 | 37 | 51,9 |
| **წყნარი ოკეანე** | | | |
| საკრამენტო | 53 | 23 | 69,7 |
| ლეიკერსი | 53 | 24 | 68,8 |
| პორტლენდი | 39 | 37 | 51,3 |
| სიეტლი | 35 | 42 | 45,5 |
| გოლდენ სტეიტი | 34 | 42 | 44,7 |
| კლიპერსი | 27 | 51 | 34,6 |
| ფინიქსი | 26 | 51 | 33,8 |

*მთავრული შრიფტით გამორჩეულია პლეი ოფში გასული გუნდები*



## რეგულარული ჩემპიონატი

*ლოკაუტისწინა ჩემპიონატი — ასე შევა 2003-04 წლების პირველობა ლიგის ისტორიაში. ბევრი რამ მოხდა ამ სეზონში დასამახსოვრებელი, უფრო საინტერესო პლეი ოფი კი წინ გველის, მაგრამ მთავარი მაინც ისაა, რომ ჩემპიონატის პირველივე დღე გაფიცვაზე საუბრით დაიწყო. ყველა ამაზე ფიქრობს, ყველგან ლოკაუტის კვალი ჩანს...*



სეზონის 19 წლის ბომბარდირი რიკ ნეში



მარტენ სან ლუი ყველა სიტუაციაში მარჯვეა

# მაშ, შემოიტანეთ ტორტი!

**„კალგარის“** ოფისში მომუშავე პერსონალი უკვე გააფრთხილეს, რომ მათი სამუშაო კვირა სამ დღემდე შემცირდება. შესაბამისად ხელფასის 40 პროცენტიც ჩამოეჭრებათ. ედმონტონში უკვე მუშაობენ პროგრამაზე, რომელიც გუნდის თანამშრომლებს დამატებითი სამუშაოს ძებნაში დაეხმარება. ასეთი ამბებია აშშ-ის კლუბებშიც.

ESPN-ის მიერ ჩატარებულ გამოკითხვაში მონაწილე 15 გუნდიდან 9 კლუბის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ თუ ჩემპიონატი საერთოდ არ ჩატარდება, უფრო ადვილად გავლენ ფონს. ეგებ ეს უცნაურად მოგეჩვენოთ, მაგრამ ფაქტი ერთია — დღესდღეობით ლიგა არარენტაბელურია და თუ ასე გაგრძელდა, საფინანსო კრახი გარდაუვალია.

სულაც არ გვსურს, ციფრებით მოგაბეზროთ თავი, მაგრამ მაინც გეტყვით, რომ განვლილ სეზონში (ამ სეზონში, ცხადია, ჯერ არ დაუთვლიათ) 30 გუნდიდან 19-მა იზარალა, რამაც საერთო ჯამში 273 მილიონი დოლარი შეადგინა.

ცხადია, ამის შემხედვარე გუნდებმა ეკონომიკას განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეს, მაგრამ სანამ სიტუაცია რადიკალურად არ შეიცვლება, ლიგას არაფერი ეშველება.

მთავარი პრობლემა ჰოკეისტთა უზარმაზარი ხელფასებია. რაოდენობრივად ნჰლ-ის ჯამაგირები ვერ შეედრება თუნდაც ბეისბოლისტების ან კალათბურთელებისას, მაგრამ საერთო შემოსავლიდან გამომდინარე, პროცენტულად მაინც მათი სჭარბობს. ნბა-ში მოთამაშეებს შემოსავლის 56 პროცენტი ერგებათ, ნჰლ-ელებს — 75, მაგრამ ჰოკეისტები უფრო მაღალ ხელფასებს ითხოვენ. ამიტომ ერთობ კრიტიკული ვითარება იქმნება. გამოსავალს ვერავინ ხედავს და ლიგის კომისიონერ გერი ბეტმენის ოპტიმისტური პროგნოზები ცოტა სასაცილოდ ჟღერს. ვარაუდობენ, რომ ლოკაუტმა შესაძლოა ორ წელიწადს გასტანოს.

არადა, რამდენი სასიამოვნო მომენტი იყო ამ სეზონში. თუნდაც ახალგაზრდების დამაჯერებელი თამაში. ახალი თაობის ორმა წარმომადგენელმა, კოლუმბუსელმა რიკ ნეშმა და ატლანტელმა ილია კოვალჩუკმა, კალგარელ ჯერომ იგინლასთან ერთად, საუკეთესო მეგოლის ტახტი გაიყვეს. ასეთი რამ ლიგას არ ახსოვს. კოვალჩუკი ხომ მხოლოდ მესამე სეზონს ატარებს, ხოლო 19 წლის ნეშისთვის ეს მეორე ჩემპიონატი იყო, მეორე სეზონი კი ყოველთვის უფრო მძიმეა ახალგაზრდებისთვის.

ახალმა თაობამ კარში დგომითაც გამოიჩინა თავი. წლეულს არნახული რაოდენობის მეკარე გახდა ნომერ პირველი თავის გუნდში. დიდხანს თადარიგში მჯდომმა გოლკიპერებმა მენი ლეგასმა და დავიდ ებიშერმა თვით „დეტროიტსა“ და „კოლორადოში“ ისეთი თამაში აჩვენეს, მწვრთნელებს შეუცვალეს ძველი სტერეოტიპი, რომლის მიხედვითაც მეკარე აუცილებლად გამოცდილი უნდა იყოს. თუნდაც მიიკა კიპრუსოფი ავიღოთ. „კალგარში“ წლეულს გადასულმა მეკარემ, რომელიც აქამდე იშვიათად თამაშობდა, ლიგის ახალი რეკორდი დაამყარა — საშუალოდ ერთ მატჩში მხოლოდ 1,69 გოლი გაუშვა.

სეზონის მთავარი აღმოჩენა კი მარტენ სან ლუი გახდა. იგი ახალგაზრდა არ არის, მაგრამ 30 წლის ტამპელი მხოლოდ მეექვსე სრულფასოვან სეზონს ატარებს ლიგაში.

საოცარია, რომ მხოლოდ 168-სანტიმეტრიანმა ჰოკეისტმა ლიგის ყველა ვარსკვლავი დაჩრდილა და დღეს სეზონის უძვირფასესის ტიტულის მთავარ კანდიდატად მიიჩნევა.

საინტერესოა, რომ სან ლუი მარჯვეა ყველა სიტუაციაში — რიცხვმრავლობაში ხომ გამოირჩევა და გამოირჩავა, მაგრამ უმცირესობაშიც 8-ჯერ(!) დალაშქრა მეტოქის კარი. ნაყოფიერების კოეფიციენტითაც კი (ეგრეთ წოდებული „პლუს-მინუსი“) ყველას გაუსწრო.

და მაინც, ახლები წინა თაობის მიღწევებს ვერ შესწვდნენ. იმავე კოვალჩუკმა ვერ გაიტანა 50 შაიბა, ხოლო სან ლუიმ 100 ქულაც ვერ მოაგროვა. ლიგა ძალიან ცდილობს, მაგრამ შედეგიანობა ნელ-ნელა დაბლა მოცოცავს. მიზეზი ჰოკეისადმი ინტერესის განელებაა, ძველი ლომები კი თანდათან ტოვებენ სცენას. მარიო ლემიეს დაბრუნების მორიგი მცდელობა ტრავმით დასრულდა. იგივე დაემართა დომინიკ ჰაშეკსაც. ჯერ კიდევ შარშან დაასრულა კარიერა პატრიკ რუამ, ეს სეზონი ბოლო გამოდგა მარკ მესიესთვის, „რკინის მარკმა“ კი საბოლოოდ პლეი ოფშიც ვერ გაიბრძოლა.

ეს სეზონი ორი დიდი სკანდალითაც დაგვამახსოვრდება. ორივე დაახლოებით ერთსა და იმავე დროს მოხდა, მარტის შუა რიცხვებში და ერთიმეორეზე შემზარავი იყო. ჯერ „ოტავასა“ და „ფილადელფიის“ მოთამაშეების ცემა-ტყეპა ვიხილეთ ყინულზე, მერე კი ვანკუვერელმა ტოდ ბერტუციმ ლამის მოკლა კოლორადოელი სტივ მური. კიდევ კარგი, ყველაფერი კარგად დასრულდა და სტივი უკვე ჰოკეიში დაბრუნებაზეც ფიქრობს.

აი, ასეთი მრავალფეროვანი სეზონი გავატარეთ, წინ კი ტორტივით დესერტი გველის! ყველა ამბობს, ლოკაუტის საშიშროების გამო პლეი ოფი უალრესად საინტერესო იქნებაო.

მაშ, შემოიტანეთ ტორტი!

**სამველ ლარიბიანი**

ბომბარდირები: სან ლუი (ტამპა) 94 (38+56); კოვალჩუკი (ატლანტა) 87 (41+46); საკიკი (კოლორადო) 87 (33+54); ნესლუნდი (ვანკუვერი) 84 (35+49); ჰოსა (ოტავა) 82 (36+46); ელიაში (ნიუ ჯერსი) 81 (38+43); ალფრედსონი (ოტავა) 80 (32+48); სტილმანი (ტამპა) 80 (25+55); ლანგი (დეტროიტი) 79 (30+49); რიჩარდსი (ტამპა) 79 (26+53); ტანგეი (კოლორადო) 79 (25+54); ჰეიდუკი (კოლორადო) 75 (35+40); სუნდინი (ტორონტო) 75 (31+44); რეკი (ფილადელფია) 75 (26+49); იაგრი (რეინჯერსი) 74 (31+43)

ეროვნული ბიბლიოთეკა

*კარატე სპორტის ოლიმპიურ სახეობებში არ შედის, მაგრამ საქმეს ისეთი პირი უჩანს, 2008 წლის ოლიმპიადისთვის შეიძლება ეს საკითხი დადებითად გადაწყდეს. საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი ამ ზაფხულს, ათენშივე აპირებს სიახლის დანერგვას, ოღონდ მცირე მასშტაბით, ექსპერიმენტის სახით. ოლიმპიური კომიტეტის მთავარი მოთხოვნა ტრავმიანობის შემცირებაა. თან ეს ისე უნდა მოხდეს, რომ სანახაობრივი მხარეც შენარჩუნდეს. აქედან გამომდინარე, ბოლო ორ წელიწადში წესებში ძირეული ცვლილებები მოხდა.*

# ყინული დაიძრა?

## კარატე დოს ეროვნული კავშირი კავშირებს ამყარებს

**საერთაშორისო** ოლიმპიური კომიტეტის წინა თავკაცმა ხუან ანტონიო სამარანჩმა ოლიმპიურ სახეობებში გაწევრიანების შემთხვევაში კარატეს საერთაშორისო ორგანიზაციებიდან პრეროგატივა მსოფლიოს კარატეს ფედერაციას (WKF) მიანიჭა. საქართველოში WKF-ს კარატე დოს ეროვნული კავშირი (GNKU) წარმოადგენს. მასში კი თითქმის ყველა ის ორგანიზაცია წევრიანდება, ვინც სპორტული კარატითაა დაინტერესებული. WKF-ის ეგიდით ჩატარებულ საერთაშორისო ტურნირებში წარმატებული გამოსვლა ძალიან ძნელია. ქართველები დიდი გამარჯვებებით ვერ დაიკვეხნიან, თუმც პერსპექტიული ახალგაზრდები უკვე გამოჩნდნენ.

„ბოლო წლებში ჩვენს ქვეყანაში მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონი კარატისტები გაჩნდნენ, თანაც არაერთი — გვითხრა საქართველოს კარატე დოს ეროვნული კავშირის თავმჯდომარემ მიხეილ მახარაძემ — ეს, რა თქმა უნდა, სასიხარულოა, მაგრამ რატომღაც არავინ ახსენებს, რომ ისინი ცალკეულ სახეობებში იმარჯვებენ. ამის გაშიფვრა კი აუცილებელია. სპორტული კარატის დონე საქართველოში სამწუხაროდ, არც თუ ისე მაღალია. ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონიც არავინ გვყავს. ის კი არა, სერიოზულ საერთაშორისო ტურნირებზე სტაბილურად სიარული სულ რაღაც 4-5 წელია, დავიწყეთ. აქედან გამომდინარე უმაღლესი შედეგი ჯერ არ მიღწეულა, მაგრამ წინსვლა თვალშისაცემია.



ბოსფორის თასის შარშანდელი ჩემპიონი გოგიტა არქანია (მარჯვნივ) და მისი თანაგუნდელი ზაზა წულაია

..ბოსფორის თასის გათამაშება, რომელიც ტრადიციულად, სტამბოლში ტარდება, სერიოზულ ტურნირად ითვლება. მასზე ორმოცამდე ქვეყნის დელეგაცია იყრის ხოლმე თავს და შარშან 19 წლის გოგიტა არქანია ჩემპიონიც გახდა, რაც, თავისთავად, სერიოზული მიღწევაა. ორიოდ დღის წინ სპორტულ კარატეში თბილისის ღია ჩემპიონატიც ჩავატარეთ და ყველა ასაკში გამოვავლინეთ საუკეთესოები. მათგან უკვე ნაკრებიც დავაკომპლექტეთ და 17-18 აპრილს ბოსფორის თასზე წავიყვანთ. ჩვენი უმთავრესი მიზანი მათი გასინჯვა და 6-9 მაისს მოსკოვში გასამართი ევროპის ჩემპიონატისთვის უკეთ მომზადებაა.

...საინტერესოა უფრო გრძელვადიანი გეგმებიც: ივნისში სლოვაკეთი ევროპის გუნდურ პირველობას უმასპინძლებს, ივლისში იუგოსლავიაში სტუდენტთა მსოფლიოს ჩემპიონატია, ხოლო ნოემბერში მექსიკაში უფროსების მსოფლიოს ჩემპიონატი ტარდება. მათზე აუცილებლად გავემგზავრებით, შუალედებს კი რეგიონალური ტურნირებისთვის და ნაკრების უკეთ მოსამზადებლად გამოვიყენებთ. ნოემბერს თბილისშიც ვგეგმავთ საერთაშორისო ტურნირის ჩატარებას.

სპორტული კარატე დღეს საქართველოში ინფორმაციულ ვაკუუმშია. არადა ამ სახეობის მიმდევართა პოტენციალი საკმაოდ დიდია. ვეპატიჟებით ყველას, ვინც სპორტული კარატითაა დაინტერესებული. ჩვენი სურვილია, რეგიონებს, კლუბებს და ცალკეულ სპორტსმენებს მიეცეთ თავიანთი შესაძლებლობების გამომჟღავნების შანსი. საქართველოს კარატე დოს ეროვნული კავშირის კარი ყველასთვის ღიაა."



# ქართველები იტალიაში იდევიზებენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

**დღეს** საქართველოს ჩოგბურთელ ვაჟთა ნაკრები იტალიაში ჩაფრინდება, სადაც კვირის ბოლოს დევისის თასის ევროაფრიკული ზონის მეორე ჯგუფში მასპინძელთა გუნდს შეხვდება. ამ სერიისთვის მოსამზადებლად ქართველები ერთი კვირის წინ გერმანიაში შეიკრიბნენ. თბილისიდან ჩასულ ირაკლი უშანგიშვილსა და ნაკრების კაპიტან გელა ელერდაშვილს ირაკლი ლაბაძე, ლადო ჩიხლაძე და დავით კვერნაძე გერმანიაშივე შეუერთდნენ, დღეს კი ფრანკფურტში საქართველოს ჩოგბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ლეილა მესხიც გაემგზავრა. ნაკრები პრეზიდენტს აეროპორტშივე დახვდებოდა და აპენინებისკენ ერთად აიღებდნენ გეზს.



ირაკლი ლაბაძე

დღესვე შედგება კენჭისყრა და გაირკვევა, ჩვენი გუნდის პირველი ნომერი ირაკლი ლაბაძე პირველ წრეში რომელ იტალიელს შეხვდება. თუ ვინ იქნება ჩვენი მეორე ნომერი, ამას გუნდის კაპიტანი გადაწყვეტს. რეიტინგით უკეთესი მაჩვენებელი უშანგიშვილს აქვს, თუმცა გამორიცხული არაა, კორტზე გერმანიასა და ესპანეთში მოვარჯიშე ჭაბუკები ჩიხლაძე და კვერნაძე გავიდნენ.

იტალია-საქართველოს ხუთმატჩიანი დაპირისპირება პარასკევს დაიწყება და კვირამდე გასტანს. მოგების შემთხვევაში ელერდაშვილის გუნდი ივლისში კვიპროსისა და ბულგარეთის წყვილში გამარჯვებულს ესტუმრება, ხოლო თუ წააგო, დამარცხებულს თბილისში მიიღებს.

ბოლოს შეგახსენებთ, რომ მეორე ჯგუფში თამაშის უფლება საქართველოს ნაკრებმა შარშან მოიპოვა და ამაში ლომის წილი ლაბაძეს მიუძღვის. მან ჯამში შვიდი თამაში ჩაატარა და ყველა მოიგო.

**ოთარ მაღლაკელიძე**

# ანა ხულიოზე

**მაშინ როცა** მეჩოგნე ქალთა ამქარი მსუყე-მსუყე ამერიკულ ტურნირებზე ტიტულთა და ლართა მოსახვეჭად დაკალმასობს, 22 წლის ტიტულბერწი, მაგრამ სექსნაყოფიერი ანა კურნიკოვა თავის ესპანელ კურო-მომღერალ ენრიკე იგლესიასთან ერთად ინდონეზიურ ბალიზე ნებივრობს.

28 წლის იგლესიასს ამას წინათ უთქვამს, ზოგიერთებს რომ ჰგონიათ, მე და ანა იმაზე მჭიდროდა ვართ ერთმანეთშიო. და ვინძლო იმათ გასაგონადაც უთქვამს, ვისაც სექსანას და ხულიოს წყვილად სიარული სარეკლამო ფინტი ჰგონია.

თუ ჰგონია, და, აგე, ამათ შეხედოს!








# ჩირაღდანი ხრჩოლავს

## გენერალი ბჭობს, ტერორისტები იცინიან

**იმდენი** ვნებათაღელვა, რამდენიც ათენის ოლიმპიურ თამაშებს პრელუდიასავით წინ უძღვის, მისი წინამორბედი თამაშებიდან ვერ ვიხსენებთ. აქეთ მოსალოდნელი ტერაქტებიო, იქით ოლიმპიური ბაზების მშენებლობათა ვერმოსწრების საკითხები, მათ მშენებელთა გაფიცვები თუ ტრანსპორტის სავარაუდო უხეირო მუშაობაზე გულისხეთქვა და სხვა ათასი წვრილმან-მსხვილმანიო...

ოლიმპიური ჩირაღდანია და იმასაც რაღაც ჭირად პრობლემები გაუჩნდა. ათენის მარმარილოს ანტიკურ სტადიონზე მიტანილს ქარმა ერთი რომ წამოუბერა და ჩაქრა, ამაზე ვიუწყებოდით და იმასაც, რომ ეს ამბავი ცრუმორწმუნეებს ცუდად ენიშნათ.

ახლა ირკვევა, რომ ოლიმპიიდან ათენამდე ერთკვირიან გზაზე ეს ჩირაღდანი თურმე 30-ჯერ ჩაქრა და, ვინ იცის, კიდევ რამდენჯერ ახრჩოლდება, ვიდრე მთელ დედამიწას შემოივლის.



ჰოდა, ახლა არის ერთი ბჭობა ამ ჩირაღდნის ავ-კარგიანობაზე, რომელსაც ზეთისხილის რტოს სტილიზებული დიზაინი აქვს. ერთნი ირწმუნებიან, ჩირაღდნის კონსტრუქცია უვარგისიაო, მაგრამ „ათენი-2004-ის" საორგანიზაციო კომიტეტი თავის არჩეულ ჩირაღდანს იცავს და ცრუმორწმუნეების დაშოშმინებასაც ცდილობს. ამბობს, ჩირაღდნის კონსტრუქცია ძალიან კარგია, უბრალოდ მეჩირაღდნეები მის მოწყობილობას სათანადოდ ვერ გაეცნენო.

საზოგადოების დაწყნარებას ცდილობს ნატოს სამხედრო საბჭოს გერმანელი გენერალი ჰარალდ კუაიტიც და ამბობს, ათენში მოსალოდნელი ტერაქტებისთვის ბოროტმზრახველთა სამზადისზე არავითარ ინფორმაციას არ ვფლობთო.

„ამასთან, მინდა გითხრათ, რომ ოლიმპიურ დედაქალაქში ტერაქტის მოწყობა ეს სულმდაბლობაა და ვიმედოვნებ, რომ ამას არავინ გააკეთებს" — გენერალი ამას ისე ამბობს, თითქოს ოლიმპიურ თამაშებზე ტერაქტები ჯერაც არ მომხდარიყოს. გერმანელი ჩინოსანი იმასაც აღნიშნავს, რომ ნატოს ათენის ოლიმპიური თამაშების უშიშროების უზრუნველყოფა სავსებით ხელეწიფება. თუმცა, ამ სამხედრო ბლოკის „მიწისზედა" ჯარისკაცების ათენში შეყვანა საჭირო სულაც არ გახდება. მით უმეტეს, რომ თავად საბერძნეთს მშვენიერი შეიარაღებული ძალები ჰყავსო.

ერთი სიტყვით, გენერალი ბჭობს, ავისმზრახველნი კი ალბათ იცინიან...

**ავთანდილ ტყვიშელი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ახლებური სრიალი

ზაგრებში გახურებულა ახალი ყაიდის შეჯიბრება: მსოფლიოს ჩემპიონატი სინქრონულ ფიგურულ სრიალში. ამ სპორტის მოციგურავენი ერთეულ-წყვილთა დარად სიფრიფანანი სულაც არ არიან, ჯანი მეტი მოეთხოვებათ. თავად ნახეთ კუნთმაგარი ფინელი გოგოები.



REUTERS ზაგრებიდან



REUTERS სან ანტონიოდან

# პოლიციაც იქვე იყო

ამერიკამ გამოიარა მშფოთვარე 60-იანი წლები და ქუჩის სტუდენტური რევოლუციები. მაგრამ სტუდენტებს ზოგჯერ დღესაც აუდუღდებათ სისხლი და მაშინ მანქანებიც და ვიტრინებიც ილეწება. აი, ამ მჩქეფარე ჭაბუკებმა სტუდენტურ ფინალში მშობლიური კონექტიკუტის უნივერსიტეტის გაჩემპიონება ჯერ სან ანტონიოს „ალამოდოუმში“ იზეიმეს, მერე კი, თავისთავად, ქუჩებსაც შეესივნენ. „ზეიმში“ პოლიციაც მონაწილეობდა.





REUTERS ლონდონიდან

# უსწრაფესი დამხმარე

ბრიტანეთის ოლიმპიური იმედი მსოფლიოსა და ევროპის ჭერქვეშა ჩემპიონი ჯეისონ გარდნერი მილენიუმ ბრიჯზე მორბის ლონდონის წმინდა პავლეს ტაძრის წინ. ბრიტანეთის ოლიმპიური იმედი იქაურ ოლიმპიურ კომიტეტს თავისი საჯარო აქციებით თანხების მოძიებაში ეხმარება.




REUTERS მეერბეკიდან

# ფლანდრიის გზები

ფლანდრიის ტური მოგებულია: გერმანელი ველომხედარი შტეფენ ვესემანი რკინის ველოპრიზს ჰკოცნის. 257-კილომეტრიან რბოლაში გერმანელმა უკან ჩამოიტოვა ბელგიელი ლეფ ოსტე და თანამემამულე დეივ ბრუილანდტსი.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით ერაძე, დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან დარსაველიძე, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, დავით კვაჭანტირაძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი, მირიან ხანიშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge